ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ოკუპირებულ აფხაზეთში კრიმინალს ბრძოლა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს

გვ.5



15 დეკემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პარასკევი, 22 დეკემბერი, 2017 №303 (7538) ფასი: 50 თეთრი

# გიორგი გახარია: „არანაირი კონტაქტი ნაციონალებთან!“



გვ.2

## „ნაციონალებმა პრემიერი კინაღამ გაგვილახეს და მშველელი არცერთი მინისტრი არ იყო“

გვ.3









„ვინც კვირიკაშვილს საქციელს უწონებს, მას დათვურ სამსახურს უწევს“

## ლია მუხაშავრია: „კრიმინალურ პოლიციას რეფორმა აუცილებლად სჭირდება“



გვ.4

## „ცხინვალის გზის გახსნა დაუშვებელია!“



გვ.5

დავით ქაცარავა: „რუსების მიერ ქართველების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“

### სამართალი

გვ.7





რუსთაველზე 15 წლის მოზარდის დაჭრის ფაქტზე 17 წლის ჯ.ჩ. წეროვანში დააკავეს



ბახალა: „დაკავების შემდეგ გამაშიშვლეს“



სააპელაციო სასამართლომ პოლიტპატიმარი ზაურ მაკარაძე უდანაშაულოდ ცნო

### ეკონომიკა

გვ.6

„სხვისი საქმე ჩვენ რატომ უნდა გავაკეთოთ?!“ — დეველოპერების ნაწილი კახა კალაძის ინიციატივაზე



საქართველოში პირველი გაზსაცავის მშენებლობა 2018 წელს დაიწყება



თბილისში უკანონო მშენებლობების უკვე 500-მდე ფაქტი გამოვლინდა



ISSN 1987-9385

**2** „7 თვითმმართველი ქალაქის გაუქმება ქალაქებისა და სოფლების განვითარებას შეაფერხებს“

**4** საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1.069 ლარია

**2** თამარ მეარაყიშვილის შინაპატიმრობიდან 4 თვე გავიდა

**4** როგორ შეცვალა აჯიკამ დიდ ბრიტანეთში აფხაზი წყვილის ცხოვრება

# გიორგი გახარია: „არანაირი კონტაქტი ნაციონალებთან!“

შორენა მარსაგიშვილი



მმართველი გუნდი ნაციონალებისთვის „ნივიჟუს დარტყმას“ აპირებს. შს მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებთან საუბარში პირობა დადო, რომ ამიერიდან მეოცნებეებს ნაციონალების ყველა ქმედებაზე ნულოვანი რეაქცია ექნებათ.

მსტოვართუხუცესი მიიჩნევს, რომ მათთან მხოლოდ ასეთი ურთიერთობაა გამართლებული. ამ დასკვნამდე ის 20 დეკემბერს მომხდარი ინციდენტის შემდეგ მივიდა.

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგიერთ ჯგუფს ჰგონია, რომ მნიშვნელოვანია. რეალურად, 20 დეკემბრის ფაქტმა დაადასტურა, რომ ეს არის აბსოლუტურად ცარიელი, მხოლოდ პროვოკაციებსა და უაზრო ჭორებზე დაყრდნობილი ქმედებები. ამიტომ საჭიროდ არ ვთვლი, ამაზე რაიმე რეაქცია მოვახდინო.

ჩვენი რეაქცია ნული უნდა იყოს, რადგან ეს არის ცარიელი, ყველანაირ შინაარსს მოკლებული რეპლიკები, ჭორები და გაუგებარი ბრალდებები. ამიტომ ვთვლი, რომ დღეიდან ამ ძალასთან არანაირი კონტაქტი და ყველაფერზე ნული რეაქცია უნდა გვქონდეს, რადგან ამაზე დროის ხარჯვა ფუჭია, – განაცხადა გახარიამ.

ნაციონალების დაიგნორება „ოცნების“ დეპუტატებსაც ჭკუაში დაუჯდათ. რამდენად შეძლებენ ისინი ნერვების მოთოკვას, ამას მომავალი გვაჩვენებს. მმართველ გუნდში თვლიან, რომ ნაციონალები ყველანაირად შეეცდებიან მათ პროვოცირებას.

რამდენიმე დეპუტატის წყობილებიდან გამოყვანა გუშინ, 21 დეკემბერსაც მოახერხეს.

უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი ნაციონალების განაყარმა გიგა ბოკერიამ გააბრაზა.

– თქვენ ბრძანდებით გამოუსწორებელი უზრდელი. თქვენთან კონსტრუქციული საუბარი წარმოუდგენელია, – მიმართა გოგიჩაიშვილმა ბოკერიას.

დეპუტატი ალექსანდრე ერქვანიაც მიიჩნევს, რომ ყოფილ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობა შეუძლებელია და პრემიერისთვის ბრძოლა მარტო ნაციონალებს არა აქვთ გამოცხადებული.

დეპუტატი ამტკიცებს, რომ გიორგი კვირიკაშვილს ეკლესიის მიმართ პატივისცემას ვერ პატიობენ და ის ძალები აუმხედრდნენ, რომლებიც პატრიარქს ებრძვიან.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი დედაეკლესიისა და პატრიარქის სიყვარულისა და მისი ღვაწლის დაფასებისთვის. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში გარკვეული ძალების მხრიდან მიმდინარეობს ბრძოლა ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ და ვფიქრობ, იგივე ძალები აწარმოებენ თქვენ წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას, რადგან მათთვის მიუღებელია თქვენი დამოკიდებულება მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეკლესიის მიმართ.

ამიტომ, მოგმართავთ თხოვნით, მეტი ყურადღება მიაქციოთ ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. აუცილებელია ამ ძალების გამოაშკარავება და მათთვის საკადრისი პასუხის გაცემა, – მიმართა კვირიკაშვილს ერქვანიამ.

„ოცნებასთან“ კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილი დიდად არც ნაციონალებს აქვთ. პრემიერის მიერ ნაგინები ნიკა მელია პროვოკაციულ განცხადებებს არც ინციდენტის მეორე დღეს ანებებდა თავს.

მისი თქმით, „ოცნებას“ იქით მიჰყავს საქმე, რომ მან მადლობა გადაიხადოს.

– „ქართულმა ოცნებამ“, პრემიერმა კვირიკაშვილმა და მინისტრთა კაბინეტმა ახალი მოცემულობა შექმნა და დაამკვიდრეს რეალობა, როცა ისინი პროვოკაციად თვლიან ოპოზიციის მხრიდან დასმულ მწვავე კითხვებს. მაპატიეთ, მაგრამ აბა რას ელოდებიან ჩემგან ან სხვა ოპოზიციონერებისგან? ქებას დავუწყებთ მაშინ, როდესაც 5 წლის განმავლობაში ქვეყანას ვერ სთავაზობენ გამოსავალს, როდესაც ვერ სთავაზობენ განვითარების ვერანაირ გეგმას, მაშინ როდესაც ცხოვრების დონე გაძვირდა 50%-ით, შიმშილობს მოსახლეობის უმეტესობა, შემოსავალი და პენსია იგივე დარჩა, როდესაც ადამიანებს ვალის გამო ქონება დაუყადაღდათ და იმედიც არ აქვთ, როცა ახალგაზრდობა ცდილობს ქვეყნიდან თავის დაღწევას და ბევრი სხვა.

რას ელოდება, რომ დითირამბებით გუნდრუკის კმევას დავუწყებ? ბუნებრივია, არ მაინტერესებს მოქალაქე გიორგი კვირიკაშვილი, მე მაინტერესებს, რას აკეთებს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი, რა გეგმა აქვს, რას გულისხმობს მისი ოთხი პუნქტი? ყველაფერზე საუბრობს ამ გეგმაში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა. ეს მთავრობა არის საშოვარზე მოსული ხელისუფლება, რომელმაც რეალურად ქვეყანა გაალატაკა. ამას არ სჭირდება პარლამენტარის კომენტარი და მწვავე კითხვა ქუჩებში ჩანს. იქითკენ მიჰყავთ ახლა საქმე, მადლობა მაქვს გადასახდელი, რომ ცივი იარაღი არ გამოიყენა პრემიერმა კვირიკაშვილმა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნიკა მელიამ.

## „7 თვითმმართველი ქალაქის გაუქმება ქალაქებისა და სოფლების განვითარებას შეაფერხებს“



– 7 თვითმმართველი ქალაქის გაუქმება გააუარესებს ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხს, შეაფერხებს ქალაქებისა და სოფლების განვითარებას, შექმნის უთანასწორო პირობებს ქალაქისთვის, – ნათქვამია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამართლიანი არჩევნების მიერ კვლევის შედეგად მომზადებულ ანგარიშში.

კვლევაში წარმოდგენილია 7 თვითმმართველი ქალაქისთვის (ზუგდიდი, ოზურგეთი, ამბროლაური, გორი, ახალციხე, მცხეთა და თელავი) თვითმმართველი ერთეულის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივი ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, საკრებულოების მიერ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა და გადაწყვეტილების „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული წესის დარღვევით მიღებაა.

როგორც ცნობილია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2017 წლის 15 მაისს 7 თვითმმართველ ქალაქსა და 7 სათემო მუნიციპალიტეტს გაერთიანების წინადადებით მიმართა, რის შემდეგაც, საკრებულოებმა დაჩქარებული წესით, რამდენიმედღიანი შუალედით, რიგგარეშე სხდომებზე მოიწონეს სამინისტროს წინადადება. ამის პარალელურად, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას არ ჩაუტარებია ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ აუცილებელი მოთხოვნაა. ამის მიუხედავად, მთავრობის ინიცირების საფუძველზე, პარლამენტმა 2017 წლის 15 ივნისს დადგენილებით 7 თვითმმართველი ქალაქი გააუქმა.

– კვლევის თანახმად, ასევე, დადგინდა, რომ 7 თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ შეესაბამებოდა ამ ქალაქებში არსებულ რეალობას და დასაბუთება მოკლებული იყო საგნობრივ მსჯელობას. მაგალითად, მთავრობას არ წარმოუდგენია კონკრეტული დასაბუთება, თუ რის საფუძველზე აცხადებდა, რომ არ გაუმჯობესებულა მოქალაქეთა ჩართულობა, სერვისების ხარისხი და მათზე ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, არგუმენტი, რომ მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად არ გაზრდილა მათი საკუთარი შემოსავლები, სინამდვილეს არ შეესაბამება – თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და გორის ბიუჯეტების ანალიზი საპირისპიროს ამტკიცებს. რაც შეეხება სხვა არგუმენტაციას ადმინისტრაციული ხარჯების გაორმაგების, ხარჯვის ეფექტიანობის გაუარესებისა და სხვა საკითხების შესახებ, ამ შემთხვევაშიც, მთავრობას სათანადოდ დადასტურებული ინფორმაცია არ წარმოუდგენია, – აღნიშნავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე სულხან სალაძე.

კვლევის ავტორ არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცესმა წარმოქმნა მმართველობითი ხასიათის პრობლემები. 15 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების აგვისტოს ბოლოს ამოქმედებით, იმ პერიოდისთვის არსებულმა 14-მა თვითმმართველმა ერთეულმა (საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა) არსებობა შეწყვიტა და სწორედ აგვისტოს ბოლოდან შეიქმნა 7 გაერთიანებული მუნიციპალიტეტი. აქედან გამომდინარე, გაუქმებული მუნიციპალიტეტების ორგანოები – საკრებულოები, მერები და გამგებლები, შესაბამისი ადმინისტრაციებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებობდნენ. ასევე, წარმოქმნა საბიუჯეტო პრობლემები, რადგან აგვისტოს ბოლოსთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონში ისევ არსებობდა 14 მუნიციპალიტეტისთვის ცალ-ცალკე გათვალისწინებული გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელთა მიღებასა და ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – მუნიციპალიტეტები – აღარ არსებობდნენ.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე, ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ზომის ქალაქების ურბანულ ცენტრებად ჩამოყალიბების მხარდაჭერა, რაც შექმნის ადამიანის განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა სივრცეს და მოსახლეობის ერთ ადგილას კონცენტრაციას ხელს შეუშლის.

## თამარ მეარაყაშვილის შინაპატიმრობიდან 4 თვე გავიდა



ახალგორის რაიონში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტი და ჟურნალისტი თამარ მეარაყიშვილი ყურადღებასა და დახმარებას ითხოვს. ოთხი თვეა, განსაკუთრებული შეზღუდვების გამო, თავისუფლად გადაადგილება არ შეუძლია. ამას ფინანსური კრიზისიც ემატება, რადგან დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან სასამართლო დავას იანვრიდან ვეღარ გააგრძელებს.

– 4 თვეზე მეტია სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ტყვე ვარ, ბინაში ვცხოვრობ, მაგრამ ყველაფერი შეზღუდული მაქვს. არ შემიძლია თავისუფალი გადაადგილება, ჩამორთმეული მაქვს და დღემდე არ დაუბრუნებიათ ჩხრეკისას ამოღებული არც ერთი ნივთი. მთელი ეს პერიოდი ოჯახის, მეგობრების და კეთილი ადამიანების დახმარებით ვცხოვრობ. ვისი განცხადების საფუძველზეც ვარ ამ დღეში, ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან თბილისში და, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ქალაქებში. მთელი ეს პერიოდი, როგორც მანამდე, ვიხდი სხვადასხვა საბანკო ვალდებულებებს, ბინის ქირას თბილისში ქალიშვილისათვის, ყოველთვიურად სწავლის გადასახადს, ვყიდულობ მედიკამენტებს, დავდივარ საკუთარი ხარჯით სასამართლო პროცესებზე... დავიღალე. ძალიან დავიღალე და არაფრის ძალა არ მაქვს. დაიბლოკა ჩემი ქალიშვილის სტუდენტის ბარათი და უნივერსიტეტში ვეღარ წავა, როგორც მე ვეღარ წავალ იანვრიდან სასამართლო პროცესზე. არასოდეს მიწუწუნია და არც ახლა დავწერდი, რომ შემეძლოს თავისუფლად გადაადგილება უწინდებურად. – წერს თამარ მეარაყიშვილი.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 16 აგვისტოს ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი, ცილისწამების მუხლით, დააკავეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ცხინვალის პროკურატურის ვერსიით, მეარაყიშვილმა დე ფაქტო რესპუბლიკის მმართველი პარტიის, „ედინაია ოსეტიას“ წევრის, სპარტაკ დრიაევის პატივი და ღირსება შელახა. მეარაყიშვილის სახლიდან კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონი წაიღეს. ამ ყველაფერს სამოქალაქო აქტივისტი დაშინების მცდელობად აფასებს.

თამარ მეარაყიშვილი რაიონში არსებული უკანონობის გამო ხშირად აკრიტიკებს ადგილობრივ ხელისუფლებას და საუბრობს კორუფციულ ფაქტებზე. მას არაერთხელ მოუწოდეს, შეეწყვიტა ურთიერთობა რადიო თავისუფლებასთან. ახალგორში გამოძიება გრძელდება, ადამიანის უფლებადამცველები კი მიიჩნევენ, რომ მეარაყიშვილს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მის გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალებმა პრემიერი კინაღამ გაგვილახეს და მშველელი არცერთი მინისტრი არ იყო“

## „ვინც კვირიკაშვილს საქციელს უწონებს, მას დათვურ სამსახურს უწევს“

შორენა მარსაგიშვილი

20 დეკემბერს პრემიერის მიერ დეპუტატ ნიკა მელიას კეთილების მოხსენიება კიდევ კარგა ხანს იქნება სალაპარაკო თემა.

მსგავსი რამე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად 1993 წელს მოხდა. აფხაზეთის დაკარგვიდან ცოტა ხანში დეპუტატმა გია ხავთასმა ედუარდ შევარდნაძეს ჰკითხა: აფხაზეთი რატომ დაიკარგა, შენი დედა მოვ....ანო. ამაზე სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა: ხავთასი, შენი დედაც მოვ....ან და მამაცო.

ამის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურები საჯარო სივრცეში გინებას ერიდებიან. 24 წლის შემდეგ ეს ტრადიცია დაირღვა და, რაც ყველაზე უცნაურია, ეს მშვიდმა და გაწონასწორებულმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა.

ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პრემიერი წყობილებიდან გამოეყვანა. მიზნის მიღწევის შემდეგ ყურებზე ხელებაფარებულები დარბიან, ეს რა გავიგონეთო.

სამაგიეროდ, ბედნიერები არიან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. პრემიერის გინებით განსაკუთრებით დეპუტატი ქალები აღფრთოვანდნენ. ენძელა მაჭავარიანი ამბობს, რომ პრემიერის ქმედებამ მას ზინედინ ზიდანი გაახსენა. არადა, ვარცხნილობით ზიდანი ნიკა მელიას უფრო ჰგავს.









ამ გინების გამო თავად კვირიკაშვილი შეწუხებულია. მან საზოგადოებას ბოდიშიც კი მოუხადა. მისი ბოდიში უადგილოდ მოეჩვენა დეპუტატ ემზარ კვიციანს. ის მიიჩნევს, რომ პრემიერმა გინება დააგვიანა.

– პრემიერმა ბოდიში მოუხადა საზოგადოებას იმის გამო, რომ საკადრისი პასუხი გასცა დამნაშავეებს. კვირიკაშვილმა აქ შეცდომა დაუშვა, რადგანაც ამ ამბავში ბოდიში არა აქვს მოსახდელი. მან ბოდიში სხვა რამისთვის უნდა მოიხადოს, კვირიკაშვილმა დამნაშავეებისთვის პასუხის გაცემა დააგვიანა.

იმედი მაქვს, რომ ამ ფაქტის შემდეგ მაინც დაიწყებს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეების დაჭერას. იმის მაგივრად, რომ ციხეებში შეეყარათ, პარლამენტში დასვეს.

ეს კრიმინალები და პროვოკატორები არ მოისვენებენ და კიდევ შეეცდებიან ხელისუფლებისა და ნამდვილი ოპოზიციის წყობილებიდან გამოყვანას. მერე მათი გინებისთვის საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდა რომ არ დაგვჭირდეს, ეს კრიმინალები ციხეში უნდა გავუშვათ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

კვიციანი მასთან დაკავშირებულ ინციდენტსაც იხსენებს.

– მეც გამომიყვანეს მაგათ წყობიდან, გიგა ბოკერიამ ისე მომიშალა ნერვები, პასტა ვესროლე. ამის გამო მეც მოვუხადე ჩემს ხალხს ბოდიში. დროა, ამათი თავხედობა დასრულდეს. ჩვენ გამოვყავართ წყობილებიდან და მერე ისევ ჩვენ გვიწევს ბოდიშების მოხდა, – ამბობს ემზარ კვიციანი.

გიორგი კვირიკაშვილის წყობიდან გამოსვლას გაგებით ეკიდება ყოფილი დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე. 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში ნაციონალებს ისიც ბევრჯერ გამოუყვანიათ წყობილებიდან. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს არც ის აძლევდა გასაქანს და მათთან ხშირად ჩხუბობდა.

ომარ ნიშნიანიძე მიიჩნევს, რომ რაც 20 დეკემბერს მოხდა, კოაბიტაციის ბრალია. მისივე თქმით, კოაბიტაციის შედეგია ისიც, რომ ყოფილი ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანები 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტში ველარ მოხვდნენ.

– ჩვენ თავის დროზეც გვისაყვედურეს, რომ ხისტები ვიყავით და ნაციონალების მიმართ აგრესიით გამოვირჩეოდით. ასეთი ხისტები იმიტომ ვიყავით, რომ მათთვის სათქმელი გვქონდა. ვიცნობდით რა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ბუნებას, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით კოაბიტაციას. დარწმუნებული ვარ, რომ კოაბიტაცია არც „ოცნების“ ხელმძღვანელობას უნდოდა, მაგრამ ეს იყო დასავლეთის მოთხოვნა. საქართველოს უნდა თუ არა, დასავლეთის მოთხოვნებს ანგარიში უნდა გაუწიოს.

დამნაშავე კლანის ნარჩენები პარლამენტში პასუხგაუცემელი რჩებიან. ჩვენ რომ პარლამენტში ვყოფილიყავით, მელია იმას ვერ გაბედავდა, რაც გაბედა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნიშნიანიძე.

ყოფილმა დეპუტატმა კვირიკაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების შეხვედრას ტელევიზიით უყურა.

– ნანახით გაოგნებული ვარ. კრიმინალმა ნაციონალებმა პრემიერი ლამის გაგვილახეს. ნუთუ იქ არავინ იყო, რომ პრემიერის მიმართ ასეთი აგრესია განემუხტა. ამაზე არავინ იზრუნა.

კვირიკაშვილიც ადამიანია, ველარ მოითმინა და თქვა ის, რაც თქვა.

ეს ცხადია, სასიამოვნო საყურებელი არ იყო, მაგრამ ნაციონალებმა მიიღეს, რაც დაიმსახურეს. მათ გაცილებით მეტი ეკუთვნოდათ, – მიიჩნევს ნიშნიანიძე.

მისი თქმით, ასეთი რამე წინა მოწვევის პარლამენტში რომ მომხდარიყო, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საკადრის პასუხს მიიღებდნენ.

ომარ ნიშნიანიძე იმედოვნებს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ახლაც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ყოფილ ხელისუფლებას თავხედობისთვის პასუხს მოსთხოვენ.

### „როგორც კი ხალხს მოაგროვებენ, ნაციონალები ბიძინა ივანიშვილს მიადგებიან და ის ანზორ ჩუბინიძის ამარა დარჩება“

– მე შურისძიებისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ ის, რაც კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა იკადრეს, პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს. მათ აუცილებლად უნდა მიიღონ საკადრისი პასუხი, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

მისი აზრით, სასურველი იყო, ნაციონალებისთვის პასუხი მანამდე მოეთხოვათ, სანამ ისინი პრემიერს წყობილებიდან გამოიყვანდნენ. ამის გაკეთება არც პოსტფაქტუმ არის დაგვიანებული.

– პასუხის გაცემა არც ახლაა გვიანი. ახლაც უნდა მიაგონ საკადრისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა დროსაც გაბედავენ. მე, სოსო ჯაჭვლიანი და თამაზ მეჭიაური იქ რომ ვყოფილიყავით, აქამდე საქმე არ მივიდოდა. და თუ მაინც მივიდოდა, მერე მოვთხოვდით პასუხს.

იცოდნენ რა ჩვენი ხასიათი, ამიტომაც აღარ შეგვიყვანეს საარჩევნო სიაში. არ ვამბობ, რომ ეს მარტო ამის გამო მოხდა, მაგრამ ჩვენი დაწუნების მთავარი მიზეზი ნაციონალებისადმი ჩვენი შეუწყნარებლობა იყო, – აღნიშნა ომარ ნიშნიანიძემ.

მისი აზრით, თანაგუნდელებმა კვირიკაშვილი ნაციონალების პირისპირ მარტო დატოვეს.

– ეს შეგნებულად არავის გაუკეთებია, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობის მეთაური კრიმინალების წინააღმდეგ მარტო დარჩა, – ამბობს ყოფილი დეპუტატი.

მის მოსაზრებას იზიარებს ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე. მომხდარმა ინციდენტმა ის კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ სახელისუფლებო პარტია ერთიანი გუნდი არ არის.

– ის, რაც 20 დეკემბერს მოხდა, არის „ქართული ოცნების“ სირცხვილი – ნაცებმა პრემიერს დაკითხვა მოუწყვეს. ეს ხომ უბედურებაა, მაგრამ ამ უბედურებამ სხვა უბედურება გამოაჩინა. ყველასთვის აშკარა გახადა ის, რაზეც მე დიდი ხანია ვლაპარაკობ – „ქართული ოცნება“ არ არის ერთიანი და შეკრული გუნდი.

ამ გუნდში არც ძლიერი პროფესიონალები არიან, ყოფილი ხელისუფლებისთვის სათანადო პასუხი რომ გაეცათ. ანდა ვის უნდა ამოეღო ხმა, კვირიკაშვილის გარდა, მინისტრთა კაბინეტში თითქმის ყველა ყოფილი ნაციონალია. ამიტომაც იყვნენ გატრუნულები და ამიტომ დატოვეს მთავრობის მეთაური მეფე ლირივით მარტო. ამის ყურება იყო ამაზრზენი და ამათზეა ნათქვამი, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

ეს არის მიკროსპექტაკლი იმისი, რაც შეიძლება კიდევ უფრო მაღალ დონეზე იკადროს ნაციონალების სექტამ. „ოცნება“ თავისი უმოქმედობით თუ ხელს შეუწყობს, ხვალ ბიძინა ივანიშვილს მიადგებიან. ამას გააკეთებენ მაშინ, როცა მომძლავრდებიან. მათი მომძლავრება სახეზეა – თანამდებობებიც აქვთ, კონტროლირებადი მედიაც შეინარჩუნეს და მათი სისხლიანი საქმეებიც არ გამოუძიებიათ.

ცოტაც და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები იხუვლებენ. როგორც კი ხალხის შეკრებას შეძლებენ, ეგრევე მიადგებიან ივანიშვილს. დამერწმუნეთ, ის ანზორ ჩუბინიძის ამარა დარჩება, ვერაფერს გააკეთებს, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბარამიძე.

მისი აზრით, გარდა იმისა, რომ პრემიერი მარტო დარჩა ნაციონალების პირისპირ, მან რამდენიმე სერიოზული შეცდომაც დაუშვა.

– მთავრობას ჰყავს პიარი, ჰყავს მრჩევლები, ჰყავს პრესსამსახური, რომლებიც უზარმაზარ ხელფასებს იღებენ. მაინტერესებს, რატომ არავინ ურჩია გიორგი კვირიკაშვილს, რომ ნაცებთან არ გათანაბრებულიყო.

პრემიერმა შეცდომა დაუშვა, როდესაც დარბაზში ნაცების გვერდით დაჯდა, სადაც ისინი მას კინაღამ ხელით შეეხნენ. გიორგი კვირიკაშვილი კათედრასთან უნდა დამდგარიყო და ასე გაეცა კითხვებისთვის პასუხები.

წესის თანახმად, პრემიერს ჯერ კითხვები უნდა მოესმინა და შემდეგ ყველა მათგანისთვის გაეცა პასუხი. ასე რომ მოქცეულიყო, ნაციონალებს ის პროვოკაცია აღარ გამოუვიდოდათ, ხოლო როცა პროვოკაციაზე წამოაგეს და ამ გაწონასწორებულმა კაცმა უშვერი სიტყვები იხმარა, თავდაცვის მინისტრის გარდა, არავინ მივიდა მასთან დასამშვიდებლად. ამდენი მკვდარი სად მონახეს მინისტრებად და მოადგილეებად. მხოლოდ ფერდაკარგული და ჰალსტუხიანი დაცვა ჩადგა შუაში, – აღნიშნავს ყოფილი პოლიტდევნილი.

ის მმართველი პარტიის მხარდამჭერების საყოველთაო აღტყინებითაც უკმაყოფილოა. მისი აზრით, რისთვისაც პრემიერს აქებენ, იმან კვირიკაშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

– „ოცნების“ მხარდამჭერები რას იბრაგუნებთ გულზე მჯიღს და რას იდურაკებთ თავს, საგინებლად უნდა გაუხდეს პრემიერს საქმე? მთელი ევროპული პრესა იმაზე ლაპარაკობს, რომ პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციის ლიდერს აგინა, – ამბობს ბარამიძე.

პრემიერის გინებით აღფრთოვანებულთა ყიჟინი არც ანალიტიკოს გოჩა მირცხულავას მოსწონს და ამბობს, რომ „ოცნების“ მხარდამჭერები გიორგი კვირიკაშვილს დათვურ სამსახურს უწევენ.

– ისევე, როგორც ყველა, კვირიკაშვილიც ჯერ ადამიანია და მერე – თანამდებობის პირი. რაღაცა დოზით მესმის მისი, მაგრამ ნებისმიერ თანამდებობის პირს, მით უმეტეს პრემიერ-მინისტრს, აქვს თმენის ვალდებულება. მესმის, რომ მელია მას დამამცირებელი ტონით ესაუბრებოდა, მაგრამ პრემიერი როცა ხარ, უნდა მოითმინო. კვირიკაშვილმა ვერ მოითმინა და შემდეგ მან ამ საქციელისთვის ბოდიში მოიხადა.

ის სწორად მოიქცა, როცა საზოგადოებას ბოდიში მოუხადა, მაგრამ უფრო უპრიანი იქნებოდა, ბოდიში თავისი მწყობრიდან გამომყვანის, ნიკა მელიასთვისაც მოეხადა. ეს შეურაცხყოფა პრემიერმა კონკრეტულად ამ პირს მიაყენა.

საქართველოში ასეთი რამე არასდროს მომხდარა, რომ ქვეყნის მეთაურს საჯაროდ ვინმესთვის ეგინებინოს. ერთმანეთთან მამასისხლად იყვნენ გადაკიდებული, მაგრამ არც ზვიად გამსახურდიას უგინებია შევარდნაძისთვის და არც შევარდნაძეს – გამსახურდიასთვის.

სააკაშვილი პარლამენტში შეუვარდა შევარდნაძეს და ჩაი დაულია. ამის გამო შევარდნაძეს მისთვის არ უგინებია, გინება არც სააკაშვილის მხრიდან წამოსულა. ეს უკანასკნელი ივანიშვილთანაც დაპირისპირებულია, მაგრამ მათ ერთმანეთისთვის არ უგინებიათ.

რაც მოხდა, ძალიან ცუდი ფაქტია, ყველაზე ცუდი ისაა, რომ „ოცნების“ მხარდამჭერები ამას ახალისებენ და ამით პრემიერს დათვურ სამსახურს უწევენ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მირცხულავა.

მისი თქმით, მომხდარში ყველაზე ამაზრზენი სწორედ ასეთი წახალისებაა.

– ცუდი ფაქტია და ქვეყანას ვერანაირად ვერ წაადგება. ეს უნდა ამ გაგიჟებულ და აგრესიულ, ძველბიჭობაში ჩარჩენილ საზოგადოებას? მოიხადა ადამიანმა ბოდიში და ნუ დაიწყებთ იმის წახალისებას, რომ მელიას რაც ეკუთვნოდა, ის მიიღო. განსაკუთრებით ხელისუფლების მომხრეებს ვურჩევ თავის შეკავებას. სხვაგვარად, სხვა დროს დაგხვდებათ ეს წინ ცუდად. ამას წვრილმანი ხულიგნობა ჰქვია და მასე მოგდგებათ ათასი ვიგინდარა, დაგიწყებთ გინებას და მერე მოგიწევთ ბოდიშის მოსმენა, – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

# ლია მუხაშავრია: „კრიმინალურ პოლიციას რეფორმა აუცილებლად სჭირდება“

ნათია ხურცილავა

ადამიანის უფლებათა დამცველი, ადვოკატი **ლია მუხაშავრია**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას ინიციატივებს აფასებს.

***– ქალბატონო ლია, გახარიამ განაცხადა, რომ კონკრეტული მიმართულებით რეფორმებს გაატარებს. ის საუბრობს კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის რეფორმირებაზე, კრიმინალის ზრდის კომპონენტებზე. რას იტყვით ამ გზავნილებზე, ეს არის არსებული პრობლემების დანახვა თუ ეს არის განცხადება განცხადებისთვის?***

– გახარიას ნაწილობრივ უნდა დავეთანხმო. პირველი, კრიმინალურ პოლიციას რეფორმა მართლაც სჭირდება. ეს გადაუდებლად არის საჭირო. მისი მოსაზრებები მართლაც საყურადღებოა. ახალი თვალი უფრო საინტერესოდ ხედავს. მან შეიძლება დაინახოს ის, რასაც მისი წინამორბედი მთლად კარგად ვერ ხედავდა. თუმცა, ეს ის სფეროა, რომელიც გახარიასთვის ალბათ მძიმეა, მისი გამოცდილების კვალობაზე.

***– ის ეკონომისტია.***

– დიახ, ალბათ ეს სრულიად უჩვეულო ამპლუაა მისთვის. ის არ არის ამ სფეროში არც გამოცდილი და არც პროფესიონალი. ამიტომ ძალიან რთული მისია აიღო თავის თავზე. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ კურდღელს მხოლოდ კარგი მწევარი დაიჭერს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ შეიძლება ის გადაულახავ პრობლემებს წააწყდეს. გახარიას ამ თანამდებობაზე თავის დროზე წარდგენა მთლად გონივრული გადაწყვეტილება, არა მგონია, იყოს.

***– ექსპერტების აზრით, სისტემის შიგნით რომ დანიშნულიყო მინისტრი, ის ანგარიშვალდებული იქნებოდა და მკვეთრ მოძრაობებს ვერ გააკეთებდა რეფორმის მიმართულებით, გახარია კი ასეთი ანგარიშვალდებულებებით არ არის დამძიმებული. არ ეთანხმებით?***

– გასაგებია, ხანდახან მართლაც ამართლებს ასეთი მიდგომა, მაგრამ მე დავინახავდი გახარიას პოზიტიურ როლს, თუ ის, მაგალითად, შეხვდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს,



ვინც ამ სფეროში მუშაობენ, გამოცდილება აქვთ. ეს შეხვედრა იქნებოდა არა შეხვედრა შეხვედრისთვის, არამედ გულწრფელი სურვილი საქმის გაკეთების. მაგალითად, კრიმინალური პოლიციის რეფორმა როგორ წარმოუდგენიათ ამ მიმართულებით გარკვეული ცოდნის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს. გახარიას ეს არ გაუკეთებია. ოპონირება და დისკუსია საქმიანად უნდა წასულიყო და არა ისე, როგორც ეს ვიხილეთ თუნდაც პარლამენტის კედლებში.

მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ გახარია დარჩეს სრულიად სუფთა და არ გაერიოს იმ სიბინძურეებში, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი ამ სფეროში ყველა დროში, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მან საქმე გააკეთა, რომ უკეთესი კრიმინალური პოლიციის შესაქმნელად ყველაფერი გააკეთა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნებოდა ძალაუფლების დელეგირება ადგილობრივი პოლიციისთვის, რეგიონებში პოლიცია ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა მიებას და არა – ცენტრალურ ხელისუფლებას.

ბათუმის მოვლენებმა ხომ დაგვანახა რეალურად ამის საჭიროება. ადგილზე იღებს ხელისუფლება ყველაზე მნიშვნელოვან, ფაქტზე დამყარებულ და არა ნაკარნახევ გადაწყვეტილებას. პოლიციის დეცენტრალიზება, კიდევ სხვა ასპექტების გათვალისწინება იქნებოდა ნამდვილი რეფორმა. პატრული ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურე პერსონალი, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი რომ გახდეს, ეს ბევრად შედეგიანი იქნება, ეს უფრო ორგანული სტრუქტურა იქნებოდა.

***– კრიმინალური პოლიცია დაუყოვნებლივ საჭიროებს რეფორმირებას?***

– კრიმინალურ პოლიციას რეფორმა არასდროს შეხებია. ის პატრულისგან სრულიად განსხვავდება. კრიმინალური პოლიცია 90-იანი წლების ინსტიტუციურ საქმიანობას აგრძელებს. ეს ბევრმა არც იცის.

საქმე გაუმჯობესდა იმ თვალსაზრისით, რომ დეტექტივის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, გამოძიებას ეხმარებიან სამედიცინო და სხვა ექსპერტები, მაგრამ თავად სტრუქტურის შიგნით მნიშვნელოვანი ცვლილებები დღემდე არ მომხდარა და ის ძველი ინერციით მუშაობს. ამიტომ ეს სფერო სასწრაფოდ არის მისახედი. კარგია, რომ ამაზე გახარია ღიად საუბრობს, მაგრამ, უკეთესი იქნებოდა, უფრო მკაფიო ხედვა წარმოგვიდგინოს და გარკვეული მოსაზრებებიც მოისმინოს პროფესიონალური კუთხით.

***– კიდევ ერთი სიახლე, რომელზეც გახარიამ ისაუბრა, არის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის შექმნა. როგორი უნდა იყოს ამ დეპარტამენტის საქმიანობა?***

– პოლიცია არღვევს ხოლმე ადამიანის უფლებებს და არა პირიქით. ჩვენ, მოქალაქეები, ვერ დავარღვევთ პოლიციელების იმ უფლებებს, რომლებსაც ადამიანის უფლებებს უწოდებენ. ამიტომ ასეთი სტრუქტურული ერთეულის შექმნა თავად პოლიციის სისტემის შიგნით მე, პირადად, სრულიად ზედმეტი მგონია. ამას სჯობია, გაძლიერდეს გენინსპექცია, სამინისტროს ღიაობა, ვალდებულება და პასუხისმგებლობის განცდა თავად საზოგადოების წინაშე.

ეს იქნება ყველაზე კარგი გარანტია იმისთვის, რომ პოლიციამ უკეთესად შეასრულოს თა-



ვისი ვალდებულება და დაიცვას ადამიანის უფლებები. ასეთი სტრუქტურა პროკურატურასაც აქვს, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, პროკურატურა როგორი ადამიანის უფლებების დამცველია.

***– გახარიამ თქვა, რომ ის არ იქნება ის პირი, რომელიც პოლიციას უსაფუძვლოდ ხელს დააფარებს. რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი განცხადება? ნუცუბიძეზე მომხდარი ფაქტი გვახსოვს, როდესაც პატრულის არცერთი სამხრე კამერა არ იწერდა მომხდარ ფაქტს, არადა, სამხრე კამერა სწორედ ამისთვის არსებობს.***

– კარგია, თუკი მინისტრს აქვს მოწადინება, რომ მუნდირის დაცვის მავნე ტრადიცია დაანგრიოს. კარგია, თუკი მინისტრი თავგამოდებით არ დაიცავს დამნაშავე პოლიციელს, მაგრამ ამისთვის უკეთესია, მან წარმოადგინოს მკაფიო გეგმა და არა ის, რომ ეს სიტყვებით გვითხრას. თუმცა, წარმატებულ და დამსახურებულ პოლიციელს კარიერული წინსვლის სრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს ყოველგვარი გარედან თუ შიგნიდან ჩარევების გარეშე.

ეს სისტემის გაჯანსაღებისთვისაც კარგი იქნება, მაგრამ, ვიმეორებ, ეს განცხადებებით ვერ გაკეთდება, ამისთვის საჭიროა სერიოზულად გააზრებული გეგმა და რეფორმის რეალურად განხორციელება, რომელსაც მივესალმებით და მხარს დავუჭერთ.

## საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1.069 ლარია

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში 2017 წლის მე-3 კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1.069 ლარია.

ყველაზე მაღალი თვიური ხელფასი – 1.999 ლარი სამშენებლო სფეროშია, რომელსაც საფინანსო საქმიანობის სფერო მოსდევს 1.861 ლარით.

საქმიანობის სახეების მიხედვით, სამთომოპოვებით მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი 1.337 ლარია; დამამუშავებელ მრეწველობაში – 918 ლარი; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება, განაწილებაში – 1.224 ლარი; ვაჭრობასა და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში – 935 ლარი; სასტუმროებსა და რესტორნებში – 818 ლარი; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 1.329 ლარი; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაში – 1.221 ლარი; სახელმწიფო მმართველობაში – 1296 ლარი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში – 958 ლარი; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევაში – 838 ლარი.

ყველაზე მცირე ანაზღაურება განათლების სფეროშია – 565 ლარი; სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში – 742 ლარი; თევზჭერა- მეთევზეობაში – 780 ლარი.

ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ერთსულიანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი 155 ლარია, ოთხსულიანი ოჯახის – 311 ლარი, ექვსსულიანი ოჯახის კი – 414 ლარი.

## „ცემენტის ბიზნესში“ 2 მლნ დოლარის მითვისებისთვის ძებნილი მოქალაქე ბაქოს გადასცეს

აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2016 წლის 10 ნოემბერს დააკავა, ბაქოს პროკურატურას გადასცეს. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლომ გამოაქვეყნა. ექსტრადიცია 2017 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა.



საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულს 2 მლნ დოლარი იმ მიზნით გადასცეს, რომ მას ირანიდან აზერბაიჯანში 40 ათასი ტონა კლინკერი უნდა შეეტანა. თანხის გადაცემის შემდეგ, ქვეყნიდან გაუჩინარდა. „ცემენტის სკანდალში“ გახვეული ბიზნესმენი ინტერპოლით 2015 წლიდან იძებნებოდა და ბოლოს საქართველოში აღმოჩნდა.

– აზერბაიჯანის მოქალაქე ა.ნ-მ ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით, სხვისი ქონების დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით, ა. ა-ი დაარწმუნა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ჩამოიტანდა – 2.000.000 აშშ დოლარის ღირებულების – 40.000 ტონა კლინკერს (სპეციალური ნედლეული, რომელიც გამოიყენება ცემენტის წარმოებაში) და ყოველთვიურად გადაუხდიდა – 180.000 აშშ დოლარს. ა. ნ-მ დაარწმუნა ა. ა-ი, რომ იგი დასაქმებული იყო ამ სფეროში და ჩამოტანილ ნედლეულს გამოიყენებდნენ ცემენტის დასამზადებლად ქალაქ ბაქოსთან ახლოს, ქარხანაში.“ – აღნიშნულია აზერბაიჯანის პროკურატურის მიერ საქართველოში გაგზავნილი საექსტრადიციო მასალებში.

ბაქოს პროკურორები ირწმუნებიან, რომ ბრალდებულმა ნაწილ-ნაწილ პირადად მიიღო – 2.000.000 აშშ დოლარი და გაუჩინარდა. ბინაგადინის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ დაკავებული არ გადასცემოდა აზერბაიჯანის მთავრობას.

– ა. ნ-ი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არის ოპოზიციური პარტიის აქტიური წევრი და დამფინანსებელი, რის გამოც ექსტრადიციის შემთხვევაში იგი გახდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს მისი სიკვდილი; აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციხეებში უკიდურესად მძიმე ვითარებაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და არსებობს ციხეში მისი უფლებების შელახვის რისკი; აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ იდევნებიან უფლებადამცველები, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რასაც ადასტურებს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები. – აღნიშნეს ადვოკატებმა საჩივარში.

სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატების მოსაზრება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იდევნება პოლიტიკური ნიშნით.

– საქართველოში პროკურატურამ ვერ მოიძია, ხოლო ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ვერ წარმოადგინეს რაიმე უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ დაედასტურებინათ მითითებული ფაქტის რეალობა, მით უფრო, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად და წარმოსადგენად, – აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

## როგორ შეცვალა აჯიკამ დიდ ბრიტანეთში აფხაზი წყვილის ცხოვრება

აჯიკის დამზადების ძველმა ოჯახურმა რეცეპტმა დიდ ბრიტანეთში, ქალაქ დონკასტერში მცხოვრები ახალგაზრდა წყვილის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. გუნდა ჰიუიტ-კორტავა და მისი ქმარი ასტამურ კორტავა აჯიკას ამზადებენ, ცხარე საწებელს, რომელიც აფხაზური სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია.

გუნდა ჰიუიტ-კორტავა დედით აფხაზია. რამდენიმე წლის წინ ის დედის სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ასტამურ კორტავაზე იქორწინა და აფხაზურ სამზარეულოს ახლოს გაეცნო. ონლაინგამოცემა The Star-ის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც დონკასტერში დაბრუნდა და გაფანტული სკლეროზი დაუდგინეს, ოჯახს სამუშაოს შოვნა გაუჭირდა. ასე გადაწყვიტეს აჯიკის დამზადება და [illegible] გურმანებისთვის მისი გაცნობა.

მეწარმეების პროგრამიდან მიღებული დახმარებით გუნდასა და მის მეუღლეს დონკასტერში პირველი საწარმოს გახსნის შესაძლებლობა მიეცათ.

– აჯიკა წიწაკის ცხარე საწებელია, რომელიც უნიკალურ გემოს, არომატსა და სანელებლებს აერთიანებს. ის ტრადიციულად სახლში მზადდება და დიდ ბრიტანეთში მისი შოვნა ადვილი არ არის. ასე რომ, 33 წლის გუნდამ სამზარეულოში ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. საბოლოოდ, ხელნაწერი რეცეპტიდან აჯიკა დაამზადა და ადგილობრივ მზა საკვების მაღაზიებს დეგუსტაციისთვის შესთავაზა. უჩვეულო ცხარე სანელებლებიანმა საწებელმა მყისიერად მოიპოვა წარმატება და წყვილმაც საკუთარი ბიზნესიდეის განვითარება დაიწყო. დღეს აჯიკა მთელ ქვეყანაში ფერმერულ მაღაზიებში იყიდება, – წერს გამოცემა.

კორტავებმა საკუთარი მაღაზიაც გახსნეს, სადაც სხვადასხვა სახეობის აჯიკა მზადდება. „პირველი პარტია ძალიან კარგად მიიღეს, რითიც მივხვდი, რომ შესაძლოა აჯიკის დამზადებით შემოსავალი მქონდეს“, – ამბობს გუნდა.

„კორტავას აჯიკა“ დიდი წარმატებით სარგებლობს, რასაც ისიც მოწმობს, რომ შეფმზარეულებმა 2017 წლის კონკურსის გამარჯვებული მზარეული სალიჰა მაჰმუდ ამჟამად თავის რეცეპტებში მას რეგულარულად იყენებს. ონლაინმაღაზიაში 110 გრამი აჯიკა 3 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 10 ლარი) ღირს.

# „ცხინვალის გზის გახსნა დაუშვებელია!“

## დავით ქაცარავა: „რუსების მიერ ქართველების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მსახიობი **დავით ქაცარავა** პასუხობს.

***– ბატონო დავით, რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ხურვალეთიდან ლალი ხაჩირაშვილი გაიტაცეს. გვესმის შეფასებები, რუსი მესაზღვრეები შანსს არ უშვებენ ხელიდან და ყოველ ჯერზე ახალ-ახალ პროვოკაციებს გვიწყობენო. თქვენ იმყოფებოდით სოფელ ხურვალეთში, შეხვდით ოჯახს. რის თქმა შეგიძლიათ? რა ხდება?***

– სიტუაცია იგივეა, არაფერი შეცვლილა, მოჩვენებითი სიმშვიდე სუფევს, თუმცა, ვიმეორებ, ეს მოჩვენებითი სიმშვიდეა. მოსახლეობა მუდმივი შიშის ქვეშ არის, რომ მათ გაიტაცებენ. რუსი ოკუპანტები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკას აქტიურად ახორციელებენ. ჩვენ ვიყავით ამ ქალბატონის ოჯახში, ასევე იმ ადგილას, საიდანაც ეს ქალბატონი გაიტაცეს.

***– რას ყვებიან ახლობლები, მეზობლები, ოჯახის წევრები? რა მოხდა რეალურად? მან გადაკვეთა ე.წ. საზღვარი?***

– დიახ, მისი საქონელი გადავიდა ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ქალბატონი გადაჰყვა, რათა უკან გადმოეყვანა საქონელი. სწორედ ამ მომენტში ეს ქალბატონი გაიტაცეს.

***– ანუ ჩასაფრებულები არიან და შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან?***

– კი, ჩასაფრებულები იყვნენ და შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან. ეს ოკუპანტები თითოეული ადამიანის გატაცებისას იღებენ ფულად პრემიას და ორკვირიან შვებულებას. შესაძლოა, რომელიღაც ოკუპანტს დასჭირდა შვებულება, ფული შემოაკლდა და, რომ იტყვიან, წაინადირეს ჩვენს მოქალაქეზე.

***– სად ჰყავთ დაკავებული ქალბატონი?***

– გადაიყვანეს ცხინვალში. ოჯახი ელოდება, რომ ჩატარდება სასამართლო, გადაიხდიან, ასე ვთქვათ, ადმინისტრაციულ ჯარიმას ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის. დააკისრებენ 2 ათას რუბლიან ჯარიმას და ამის შემდეგ უკვე ერგნეთიდან გაათავისუფლებენ. თუმცა ეს მდგომარეობა ძალიან დამთრგუნველია, ძალიან ცუდ შეგრძნებებს აჩენს, იმიტომ რომ სახელმწიფო ეწევა შემგუებლურ და რუსეთისთვის არაგამაღიზიანებელ პოლიტიკას, რომელსაც შედეგი მართლაც არ აქვს!

***– რა უნდა შეიცვალოს? თქვენ გამოთქვით ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი, ახორციელებთ პატრულირებას, გინდოდათ, ეს შეთანხმებული ყოფილიყო ხელისუფლებასთან და ერთობლივად გემოქმედათ, თუმცა არ გამოვიდა.***

– ჩვენ ახლაც ვაფიქსირებთ ჩვენს მზაობასა და სურვილს, რომ ვეთანამშრომლოთ ხელისუფლებას, ვთხოვთ, სწორად გამოიყენონ ჩვენი რესურსი, რომელიც ძალიან მობილურია, კრეატიულია, მონდომებულია და, რაც მთავარია, ეს დაფუძნებულია სამშობლოს სიყვარულზე. ამას დღესაც ვითხოვთ და მზად ვართ თანამშრომლობისთვის.



***– ჩანს გამოსავალი სიტუაციიდან?***

– გამოსავალს ვხედავთ იმაში, რომ საზოგადოება ბევრად აქტიური უნდა იყოს, უნდა დადგეს ფეხზე და აპროტესტოს ყველა ის ფაქტი, რომლებზეც დღეს დუმილია. ხელისუფლებამ უფრო მკაცრი პოზიცია უნდა დაიკავოს ოკუპანტების მიმართ. ეს ფაქტები უნდა გაპროტესტდეს ოფიციალურად ხელისუფლების მხრიდან. საელჩოებს უნდა დაეგზავნოს ნოტები ყველა ამ ფაქტთან დაკავშირებით. საერთაშორისო საზოგადოება უნდა ჩავრთოთ ამ პროცესში, უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ უკანონოდ იტაცებენ რუსი ოკუპანტები ჩვენს მოქალაქეებს და მეტი ხმაური უნდა იყოს!

***– რამდენად აქვს ადეკვატური რეაგირება ამ ყველაფერზე ჩვენს ხელისუფლებას?***

– საქმეც ის არის, რომ არ არის. მედიას შეუძლია დადოს დასკვნა, რამდენად შესაბამისია რეაგირება ამ ფაქტებზე ხელისუფლების მხრიდან. ამ ფონზე პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, თანაც ურთიერთგამომრიცხავი, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია!

***– კერძოდ, რას გულისხმობთ?***

– მე ვგულისხმობ ცხინვალის გზის გახსნას! აქ მეტი ახსნა-განმარტებაა საჭირო. ჯერ ერთი, შეუთანხმებელი პოზიციები დაფიქსირდა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში უნდა გაუხსნა ცხინვალს გზა. ამასაც არ ვეთანხმები, ბუნებრივია, იმიტომ რომ ეს ნებისმიერ შემთხვევაში ნიშნავს საოკუპაციო რეჟიმის ირიბად თუ პირდაპირ აღიარებას, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა იქვე, პრემიერ-მინისტრის განცხადებიდან ალბათ ერთ წუთშივე შეუსწორა კვირიკაშვილს განცხადება და ბრძანა, რომ არა ფორსმაჟორულ, არამედ ყოველდღიურ რეჟიმში უნდა იმოძრაონ ტვირთებმა. ტრანზიტულმა, ყოველდღიურმა ტვირთებმა ეს გზა უნდა გაიხსნას და ახსენა კერძო საშუამავლო შვეიცარიული კომპანია, რომელიც გააკონტროლებს ამ ტვირთებს. ჩვენთვის ასე გაკეთებული განცხადება არასაკმარისია!

***– რას მოითხოვთ?***

– ჩვენ ვითხოვთ დეტალებსა და ძალიან სერიოზულ მიდგომას ამ საკითხის მიმართ, რადგან ამ პრეცედენტის დაშვება, რომ ტვირთებმა იარონ ცხინვალის გავლით, უდიდეს საფრთხეებს შეიცავს ჩვენი ქვეყნისთვის.

***– კერძოდ, რა საფრთხეებზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– პირველ რიგში, საფრთხეა ის, რომ ამით ხდება არაღიარებული რეჟიმის აღიარება საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან, ირიბი გნებავთ, პირდაპირი თუ ეკონომიკური! ეს, ვიმეორებ, ტოლფასი იქნება იმისა, რომ საქართველო აღიარებს საოკუპაციო რეჟიმს, აღიარებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვინაიდან ტვირთები, რომლებიც გაივლის მის ტერიტორიაზე, თანმხლებ დოკუმენტაციაში აღნიშნული იქნება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. ეს კი ნიშნავს ფაქტობრივ აღიარებას!

***– თქვენ გმობთ ხელისუფლების მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, ეს მიუღებელია?***

– ამ სახით, რა სახითაც იგეგმება, ყოვლად მიუღებელია! დოკუმენტაციაში თუ სადმე გაკვრით მაინც დაფიქსირდება, რომ ეს არის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე გატარებული ტვირთები, ბუნებრივია ჩვენ ამას ვგმობთ, რადგან ეს ნიშნავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პირდაპირ აღიარებას, ეკონომიკურსა თუ სახელმწიფოებრივს.

***– თქვენ ამბობთ, რომ მოჩვენებითი სიმშვიდეა ამ კუთხით, ხელისუფლება გაურბის ამ თემაზე დიალოგს. როდემდე გაგრძელდება ასე?***

– პრობლემის გადაჭრის გზებს ვხედავ ამ თემის აქტუალიზაციაში. ეს უნდა გახდეს ზეპრიორიტეტული საკითხი, რომელზეც ყოველდღიურ რეჟიმში უნდა მიდიოდეს შეხვედრები, მუშაობა, საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურება, ჩვენი მხრიდან მათი შეწუხება. აი, ეს არის ამ ეტაპზე ალბათ ერთადერთი გზა, რომ ეს საკითხი გახდეს ყველაზე პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ჩვენი სახელმწიფოსთვის. ჩვენ თუ არ ვიბრძოლეთ ამისთვის ყოველდღიურ რეჟიმში, თუ სამოქალაქო თვითშეგნებას არ ავწევთ შესაბამის დონეზე და არ გამოვაღვიძებთ ჩვენს მოქალაქეებს, დამერწმუნეთ, ასეთი დათმობითი პოლიტიკით ნამდვილად დავკარგავთ ტერიტორიებს.




# ოკუპირებულ აფხაზეთში კრიმინალს ბრძოლა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს

## რა დავალებები გასცა ხაჯიმბამ

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ომის შემდეგ დამნაშავეობის მაჩვენებელი ყოველთვის მაღალი იყო, მაგრამ ბოლო ხანს კრიმინალმა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა. ამ ზაფხულს ადგილობრივი მძარცველები რუსეთიდან ჩამოსულ დამსვენებლებსაც დაერივნენ, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ტურისტები შეავიწროვეს ავტოინსპექტორებმაც, რის გამოც მათ ჩამოსულების ავტომანქანების გაჩერება აეკრძალათ. ტურისტის მკვლელობის შემდეგ როსტურიზმმა საკუთარი მოქალაქეები აფხაზეთში არსებული რისკების შესახებ გააფრთხილა.




დამნაშავეობის მატება არც საკურორტო სეზონის შემდეგ შეწყვეტილა. ამის გამო 12 ოქტომბერს კიდევ ერთხელ შეიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ჰარი არშბა, რომელმაც მაღალი პოზიცია დათმო რუსეთის სამართალდამცავ სისტემაში.

შექმნილ მძიმე წლის მიწურულს ალაპარაკდა დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. თავის ყოველწლიურ მიმართვაში პარლამენტისადმი მან ისიც კი აღიარა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები ამახინჯებენ კრიმინალურ სტატისტიკას.

– საჭიროა ყველა დანაშაულის რეგისტრაცია, – განაცხადა ხაჯიმბამ.

მისი შეფასებით, შინაგან საქმეთა ორგანოების სტრუქტურა და შესაბამისი კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს არსებულ გამოწვევებსა და რეალიებს.

ხაჯიმბამ დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დეპუტატებთან და საზოგადოებასთან ერთად მოამზადოს ახალი კანონპროექტი მილიციის შესახებ.

მისი სიტყვებით, ახალმა კანონმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების, მათი ინტერესებისა და ქონების საიმედო დაცვა.

ხაჯიმბას წინადადებით, აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ხელახალი ატესტაცია, შტატების შემცირება, მუშაკების სოციალური უზრუნველყოფა და ამ სფეროსთვის მატერიალური ბაზის შექმნა.

მისი აზრით, მილიციისა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის კანონებმა და მათმა რეალიზაციამ უნდა შეამცირონ დამნაშავეობა.

დე ფაქტო პრეზიდენტმა გვერდი ვერ აუარა აფხაზეთში მოდებულ ნარკოდანაშაულს.

მისი აღიარებით, 2017 წელს ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გავრცელების საწინააღმდეგოდ მიღებული ზომები არასაკმარისია.

ხაჯიმბას თქმით, ისჯებიან მხოლოდ ნარკოტიკების გამავრცელებლები, ამ საქმის ორგანიზატორები კი პასუხს არ აგებენ.

დე ფაქტო პრეზიდენტს არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ აფხაზეთში ნარკოტიკების მომხმარებლებს გამავრცელებლებზე უფრო მკაცრად სჯიან. ამაზე აფხაზეთის პარლამენტში ძალოვნებთან ერთად გარკვეული ხნის წინ იმსჯელეს. დაიგეგმა სასჯელის გამკაცრება ნარკოტიკების გავრცელებისათვის.

აფხაზეთში ისევ დიდია მკვლელობების რაოდენობა. ბოლო დღეების ყველაზე რეზონანსული დანაშაული ბიზნესმენ პავლე არძინბას მკვლელობაა. იგი და მასთან ერთად მყოფი პირი, დიმიტრი ხაგბა, 13 დეკემბერს ავტომანქანაში ჩაცხრილეს. საქმეს პროკურატურა იძიებს.

პავლე არძინბა აფხაზეთის რუხ კარდინალად ითვლებოდა. მას გავლენა ჰქონდა როგორც პოლიტიკაზე, ისე ეკონომიკაზე. პავლე არძინბას 2012 წელს ბრალად წაუყენეს მაშინდელ პრეზიდენტ ანქვაბზე თავდასხმა. არძინბას აღკვეთის ღონისძიება დაკავებისთანავე შეუცვალეს და იზოლატორიდან გამოუშვეს. ძალოვნები მას დაკავებას ვერ უბედავდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, პავლე არძინბა სისხლის აღებას შეეწირა.

დეკემბერში მძარცველები შეიჭრნენ ტყვარჩელის რაიონულ ადმინისტრაციაში. სამმა ნიღბიანმა ადმინისტრაციის რამდენიმე ოთახი გაჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი მოიძია – გამგეობას ხელფასები უკვე დარიგებული ჰქონდა.

შეამცირებს თუ არა დანაშაულს ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმის ახალი ინიციატივები, ძნელი სათქმელია, ვინაიდან დამნაშავეობაზე აისახება ზოგადი ფონი და სხვა სფეროებში არსებული მდგომარეობა.



# „სხვისი საქმე ჩვენ რატომ უნდა გავაკეთოთ?!“ – დეველოპერების ნაწილი კახა კალაძის ინიციატივაზე



დედაქალაქის მერი კახა კალაძე სამშენებლო ადგილებზე სატვირთო მანქანების გასარეცხი ტერიტორიების გამოყოფას ითხოვს. როგორც კალაძე აცხადებს, სატვირთო ავტომობილები, რომლებიც სხვადასხვა მშენებლობას ემსახურებიან, ქალაქს აბინძურებენ. დედაქალაქის მერს ამ ინიციატივას დეველოპერების ერთი ნაწილი უწუნებს, მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ „იდეა კარგია“.

სამშენებლო ადგილებზე სატვირთო მანქანების გასარეცხი ტერიტორიების გამოყოფასთან დაკავშირებით ინიციატივა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე გააჟღერა. ამასთან, მან თხოვნით მიმართა თბილისის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის საქალაქო სამსახურებს, რომ არცერთი ნებართვა არ გასცენ, თუკი სამშენებლო ადგილებზე არ მოეწყობა ადგილი, სადაც მანქანების ჩამორეცხვა იქნება შესაძლებელი.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია სამშენებლო ადგილებზე ასეთი ტერიტორიების მოწყობა და საერთოდ, ამჟამად ირეცხება თუ არა სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანები ობიექტიდან გამოსვლის შემდეგ.

სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი მიიჩნევს, რომ დედაქალაქის მერის ახალი ინიციატივა სწორია, თუმცა, მისი თქმით, პრობლემა თავად იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებმა უნდა მოაგვარონ, რომლებიც ობიექტებს სამშენებლო მასალით ამარაგებენ.

– ჩემი აზრით, თავად ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სანამ ქარხნიდან გამოვლენ და შემდეგ უკვე დაბრუნდებიან, გარეცხონ. ასევე, ბევრი ბეტონი არ ჩაასხან, რომ ქუჩები არ დააბინძურონ. დიდმა კომპანიებმა რომ მოაწყონ სამრეცხაო კუთხე, ურიგო არ იქნება, მაგრამ პატარა დეველოპერულ კომპანიებს გაუჭირდებათ, ტერიტორიის პრობლემა იქნება. მითუმეტეს, როცა კერძო სახლის მშენებლობებია. ზოგჯერ ფართი ისეთი მცირეა, ბეტონი რომ მიიღონ, ქუჩაში აყენებენ მანქანას, – აცხადებს ჯაყელი.

მისივე თქმით, აუცილებელი იქნება კონსულტაციები, რომ ახალმა ინიციატივამ დეველოპერები არ დააზარალოს.

– ნებართვების გაცემაზე ამ კომპონენტმა გავლენა არ უნდა იქონიოს. ამიტომაც სწორი მიდგომაა საჭირო, რომ ახალმა ინიციატივამ დეველოპერული ბიზნესი არ დააზარალოს. გადაწყვეტილება სატრანსპორტო კომპანიებს, ბეტონის ქარხნებსა და სამშენებლოებს შორის ერთობლივი კონსულტაციებით უნდა იქნეს მიღებული. ჯობს, სატვირთო მანქანებმა ნაკლები ბეტონი ჩაასხან და ტრანსპორტირება ცოტათი გაძვირდეს, ვიდრე ქალაქი დაბინძურდეს. ასევე, შეიძლება ობიექტი ისე მოეწყოს, რომ აქედან გასულ სატვირთო მანქანას გარეთ ტალახი არ გაჰყვეს. მაგალითად, ობიექტი „მოიხრეშოს“, – აცხადებს არჩილ ჯაყელი.

დეველოპერული კომპანია „ბინადარის“ აღმასრულებელი დირექტორი გოგა ტალახაძე დედაქალაქის მერის ახალი ინიციატივის განხორციელებას შეუძლებლად მიიჩნევს, რადგან, მისი თქმით, წარმოუდგენელია, რომ სამშენებლო კომპანიამ დღის განმავლობაში ყველა სატვირთო მანქანის გარეცხვა შეძლოს.

– პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება ამ ინიციატივის განხორციელება. გამოდის, რომ სამშენებლო ობიექტზე სამრეცხაო უნდა მოაწყო. დღეში ერთი მანქანა რომ იყოს გასარეცხი, პრობლემა არ იქნება. მაგრამ როდესაც ბეტონს ვასხამთ, ობიექტზე 50-ზე მეტი ბეტონის მანქანა შემოდის. ამ რაოდენობის მანქანას სამრეცხაოებიც კი ვერ გარეცხავენ. გარდა ამისა, ობიექტებზე სივრცე ნაკლებია და ასეთი ფართის მოწყობა ადვილი არ იქნება. ხარჯი გაიზრდება, რადგან წყლის კომერციული ტარიფს ვიხდით და საკმაოდ ბევრი წყალი დაიხარჯება. ნარეცხი წყალი სპეციალური კანალიზაცია დასჭირდება. დაბინძურებულ ქუჩებს შესაბამისმა სამსახურებმა უნდა მოუარონ, სხვისი საქმე სამშენებლო კომპანიებმა რატომ უნდა გავაკეთოთ? ჩვენი საქმე ინვესტიციების ჩადება და განუვითარებელი ტერიტორიების განვითარებაა, – განაცხადა გოგა ტალახაძემ.

სამშენებლო კომპანია „ალიანს ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი აკაკი სონგულია „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სამრეცხაო ფართის მოწყობას თავიდანვე სწორი დაგეგმვა უნდა და სირთულეც აღარ იქნება.

– მერის ახალი ინიციატივა კარგია. ჩემს ობიექტზე სამრეცხაო ადგილი მოწყობილი მაქვს. სპეციალური ცხაური და ჭა არის და ჩვენთან შემოსული ყველა სატვირთო მანქანა „კერხერით“ ირეცხება. ევროპაშიც ასეთი სტანდარტებია, ქუჩაში ჭუჭყიან მანქანას არავინ გაატარებს. ნებისმიერ მშენებლობაზე არის ტერიტორიის 30%, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება გამოიყენო, მათ შორის მოაწყო სამრეცხაო ადგილი. რა თქმა უნდა, რაღაც მომენტში სიტუაციას გაართულებს საინჟინრო კუთხით, რადგან სწორი დაგეგმვა იქნება საჭირო, რომ ობიექტზე მინი-სამრეცხაო მოეწყოს. საბოლოო ჯამში, კი სირთულეს არ წარმოადგენს. ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ქალაქში სუფთა სატვირთო მანქანებმა იარონ, – აცხადებს აკაკი სონგულია.

## საქართველოში პირველი გაზსაცავის მშენებლობა 2018 წელს დაიწყება

ენერგეტიკის სექტორში მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე 40 ჰიდროელექტროსადგურია, რომელთა საინვესტიციო ღირებულება 3 მილიარდ დოლარს აღწევს.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად კი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძემ რადიო „კომერსანტს“ განუცხადა.

მისი განმარტებით, ჰიდროელექტროსადგურების სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 1600 მეგავატი იქნება. ირკვევა, რომ კვლევის ეტაპზეა 100 პროექტზე მეტი, მათ შორის, ქარისა და მზის ელექტროსადგურები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 3700 მეგავატს შეადგენს. რომეო მიქაუტაძის თქმით, ეს ყველაფერი კომპლექსურად ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად, რაც მომავალი თაობებისთვის უკეთეს მომავალს ნიშნავს.



– მომავალ წელს უნდა დაიწყოს გაზსაცავის მშენებლობა და ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გზაზე, რადგან შეგვეძლება, ერთი თვის განმავლობაში უზრუნველვყოთ ქვეყნის გაზმომარაგება სრული მოცულობით, – აცხადებს მიქაუტაძე.

მინისტრის მოადგილე დასძენს, რომ ენერგეტიკის სექტორი სწორი მიმართულებით ვითარდება მთავარი მიზნის, ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების მისაღწევად.

## ბიზნესსახლის მშენებლობაზე ხელახალ ტენდერს მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოაცხადებს

თბილისში ბიზნესსახლის მშენებლობისთვის ხელახალ ტენდერს მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოაცხადებს, რადგან 71.6-მილიონიანი ტენდერი, რომელიც სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ჰქონდა გამოცხადებული, არ შედგა.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, თუ რატომ მოხდა უკვე გამოცხადებული ტენდერის შეწყვეტა და მუნიციპალური ფონდისთვის გადაბარება, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, თბილისში, ბიზნესსახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ ელექტრონულ ტენდერს დაუყონებლივ გამოაცხადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყება – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ასევე, მთავრობის გადაწყვეტილებით, შპს „მომსახურების ბიუროს“ დაევალა ბიზნესსახლის მშენებლობასთან დაკავშირებული უკვე გამოცხადებული ტენდერის შეწყვეტა, თუმცა წინადადებების მიღება დამთავრდა 19 დეკემბერს და ვინაიდან კომპანიების მხრიდან დაფიქსირებული არ იყო დაინტერესება, ტენდერი გამოცხადდა არშემდგარად.

„ბიზნესსახლის“ მშენებლობასთან დაკავშირებული პროცესი მიმდინარეობს აბსოლუტურად შეუფერხებლად და გამჭვირვალედ. ყველა იმ კომპანიას, რომელსაც სათანადო გამოცდილება აქვს მსგავსი ფუნქციური დანიშნულების ობიექტის ასაშენებლად, შექმნილი აქვს ღია და კონკურენტული პირობები, – აცხადებენ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.



ამასთან, როგორც „კომერსანტს“ მუნიციპალური განვითარების ფონდში განუცხადეს, მათთვის ამ პროექტის გადმოცემის მთავარი მიზეზი საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გახდა.

– გადმოცემის პროცედურები მიმდინარეობს. ტენდერი ჯერ არ გამოგვიცხადებია. უახლოეს მომავალში გამოვაცხადებთ. ბიზნესსახლის შენობას ჰყავს საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია. ჩვენ საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გვაქვს, შესაბამისად, პროექტიც ჩვენ გადმოგვეცა, – აცხადებენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.

შეგახსენებთ, ენერგოეფექტური ბიზნესსახლის კონსტრუქციის მშენებლობას კომპანია „ენსისი“ განახორციელებს, რისთვისაც 10.087 მლნ ლარს მიიღებს.

რკინაბეტონის კონსტრუქციით მოწყობილი შენობის კარკასის მშენებლობის საერთო ვადა 7 თვეს შეადგენს.

„ბიზნესსახლში“ უზრუნველყოფილი იქნება როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული სივრცის განვითარება, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ, ერთი ფანჯრის პრინციპით, ერთ სივრცეში მიიღონ 600-ზე მეტი სერვისი.

## თბილისში უკანონო მშენებლობების უკვე 500-მდე ფაქტი გამოვლინდა

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროს გიორგი ბაგრატიონის განცხადებით, დედაქალაქში უკანონო მშენებლობების უკვე 500-მდე ფაქტია გამოვლენილი.

როგორც ბაგრატიონმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, აქედან წარმოება ამ ეტაპზე 300 ობიექტზეა დაწყებული.

– არიან პიროვნებები, ვინც გამოჩნდნენ და ითხოვეს გონივრული ვადა შენობების დემონტაჟისთვის. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც იძახიან, დაგვიწერეთ ჯარიმა, დემონტაჟს არ გავაკეთებთო. რეკომენდაციის ვადა რომ დასრულდება, დოკუმენტაცია მიდის აღსრულების ბიუროში და ბიურო მოქმედებს კანონის ფარგლებში“, – განაცხადა ბაგრატიონმა.

რაც შეეხება თბილისის მერის განცხადებას, რომ გარკვეულ ჯგუფებს სოციალურად დაუცველი პირები თბილისში ჩამოჰყავთ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე უკანონო მშენებლობას აწარმოებენ, ბაგრატიონმა განმარტა, რომ შესაბამის სტრუქტურებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა და მთელი ქალაქის მასშტაბით, დაახლოებით, 500-მდე ასეთი შენობა-ნაგებობაა გამოვლენილი.

ამასთან, გიორგი ბაგრატიონის განმარტებით, სახელმწიფო მიწაზე ნებისმიერი ტიპის კონსტრუქციის დადგმა 10 ათასი ლარით ჯარიმდება.

რაც შეეხება უსაფრთხოების ნორმების დარღვევას, ბაგრატიონის თქმით, უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით 100-ზე მეტი ობიექტი შემოწმდა. 87 გაფრთხილება გაიცა, 27 ობიექტს კი ჩაბარდა შეჩერების დადგენილება.

– კონკრეტულ ობიექტებს კონკრეტული ვადები ეძლევათ მშენებლობის სიდიდიდან გამომდინარე. თუ არ გაითვალისწინებენ გაფრთხილებას, გააჩნია, რომელი კლასის მშენებლობაა, ჯერ დაჯარიმდება, ხოლო შემდგომ შეუჩერდებათ მშენებლობის ნებართვა, – განაცხადა ბაგრატიონმა.



## ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან ბანკებმა ნოემბერში 7 მილიონ ლარზე მეტი მოგება მიიღეს

მიმდინარე წლის ნოემბერში კომერციული ბანკების წმინდა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13,713 მილიონი ლარით გაიზარდა.

კერძოდ, წინა თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 48,121 მილიონი ლარი შეადგინა, 2016 წლის ნოემბერში კი აღნიშნული მაჩვენებელი 34,408 მილიონი ლარი იყო.

ამასთან, 2017 წლის ნოემბერში ბანკების შემოსავლებმა 320,813 მილიონი ლარი, ხოლო ხარჯებმა 271,266 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმებიდან/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 6,313 მილიონი ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 7,840 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის მონაცემებით,

ნოემბერში ბანკებმა 1,312 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს.

ჯამში, მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 717,235 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 566,584 მილიონი იყო.

## რუსთაველზე 15 წლის მოზარდის დაჭრის ფაქტზე 17 წლის ჯ.ჩ. წეროვანში დააკავეს




რუსთაველის გამზირზე 15 წლის მოზარდის დაჭრის ფაქტზე 17 წლის არასრულწლოვანი დააკავეს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციისა და მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ჯ.ჩ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 19 დეკემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე სკვერში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2002 წელს დაბადებულ მ.მ.-ს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ დროისთვის დაჭრილი არასრულწლოვანი საავადმყოფოში მკურნალობს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მიმდინარე წლის 21 დეკემბერს სოფელ წეროვანში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით, რაც შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## დაზარალებული შეიძლება ბრალდებულად გადაიქცეს

პროკურატურა დავით როსტომაშვილის შვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემისთვის დაზარალებულად ცნობილი პირის წინააღმდეგ გამოძიებას აწარმოებს

იუმორისტ დავით როსტომაშვილის შვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემაზე პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს.

კითხვაზე, დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლის გამო ხომ არ დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, პროკურატურაში აღნიშნეს, რომ მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება მაშინვე დაიწყო, როგორც კი დაზარალებულად ცნობილმა პირმა ჩვენება შეცვალა.

– დაზარალებულის ქმედებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე, რაც გამოიხატა ცრუ ჩვენების მიცემაში. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ს 370 მუხლით, – განაცხადეს პროკურატურაში.

იუმორისტ დავით როსტომაშვილის შვილი, გიორგი როსტომაშვილი, სასამართლომ გაამართლა. გამოძიება მას, თანამზრახველთან ერთად ყაჩაღობას, ქურდობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა, თუმცა დაზარალებულად ცნობილმა პირმა სასამართლოში დაკითხვისას ჩვენება შეცვალა და აღნიშნა, რომ ის თავს დაზარალებულად არ გრძნობს. როსტომაშვილის ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილების საფუძველი სწორედ დაზარალებულის ჩვენების შეცვლა გახდა.

## სააპელაციო სასამართლომ პოლიტპატიმარი ზაურ მაკარაძე უდანაშაულოდ ცნო



საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ზაურ მაკარაძის მიმართ, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურამ პოლიტპატიმრის განცხადების საფუძველზე აღნიშნულ საქმეზე ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები.

„ამის შედეგად სრულად გამოირიცხა ზაურ მაკარაძის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ზაურ მაკარაძემ 2011 წელს თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო დატოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგები, გაწევრიანდა ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებაში და აქტიურად ჩაერთო პარტიულ საქმიანობაში.

2012 წლის 26 მარტს ქ. თბილისში, მეტროსადგურ „სარაჯიშვილთან“ მდებარე გადასასვლელ ხიდთან ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა ზაურ მაკარაძე დააკავეს იმ საფუძვლით, თითქოს იგი ქურთუკით უკანონოდ ატარებდა ხელყუმბარას და გადაადგილდებოდა თბილისის ქუჩებში. ზაურ მაკარაძეს წარედგინა ბრალდება საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და ტარებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, შეეფარდა პატიმრობა და შესახლებულ იქნა მე-8 საპყრობილეში.

საპატიმროში მის მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა ზეწოლა იმ მოთხოვნით, რომ ზაურ მაკარაძეს გამოძიების წინაშე ეღიარებინა და დაეწერა, თითქოს ის აპირებდა პოლიტიკური პარტია ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ხელყუმბარის აფეთქებას, რაზეც იგი კატეგორიულ უარს ამბობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 07 სექტემბრის განაჩენით ზაურ მაკარაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით და ჯარიმა 3.500 ლარის ოდენობით.

საპატიმროდან ზაურ მაკარაძის გათავისუფლება მხოლოდ 2013 წლის იანვარში მოხერხდა, როდესაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით იგი ცნობილ იქნა პოლიტიკურ პატიმრად.

ახალი გამოძიებით დადასტურდა ის ფაქტი, რომ ზაურ მაკარაძე ისე დააკავეს, რომ მის მიმართ გამოძიებაც არ იყო დაწყებული და მხოლოდ მისი დაკავების შემდეგ შეიქმნა ყალბი მტკიცებულებები, რაც შემდგომ გახდა მისი მსჯავრდების საფუძველი.

გარდა ამისა, ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული იქნა მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც კატეგორიულად გამორიცხავენ ზაურ მაკარაძის მხრიდან საბრძოლო მასალის ფლობის ან ტარების ფაქტს.

აქედან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ახლად გამოვლენილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მსჯავრდებული სრულად გაამართლა. პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვისა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით დაიწყო, შეუქცევადი ხასიათი აქვს“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს 50 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა, საიდანაც 14 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

## ბახალა: „დაკავების შემდეგ გამაშიშვლეს“

თბილისის საქალაქო სასამართლოში მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის (ბახალა) საქმის განხილვა გრძელდება. გუშინდელ პროცესზე მსახიობმა დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა.

გიორგი გიორგანაშვილის თქმით, დაკავების შემდეგ პოლიციელები მისი ბიზნესპარტნიორის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ, რის შემდეგაც მსახიობი გააშიშვლეს.



– როდესაც სარფიდან შემოვედი, ტაქსი გავაჩერე და თბილისში ჩამოვედი. გზაში ჩამეძინა და რომ გავიღვიძე, პოლიციელები იყვნენ ჩემს გარშემო. ისინი მთხოვდნენ ჩემი ბიზნესპარტნიორის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. ამის შემდეგ დაიწყეს ჩემი გაშიშვლება, ალბათ, შეშინება უნდოდათ. 10 წუთი ასე ვიდექი და დამცინოდნენ. რეალურად, დამამცირეს. მერე სამმართველოში წამიყვანეს და „მამუშავებდნენ“. იქაც ვთქვი, რომ ადვოკატი მინდოდა, – განაცხადა გიორგანაშვილმა.

სხდომის დასრულების შემდეგ მსახიობმა იმ პოლიციელებზე ისაუბრა, რომლებიც მის დაკავებაში მონაწილეობდნენ.

– იმ პოლიციელების წინააღმდეგ, ვინც ჩემს დაკავებაში მონაწილეობდა, გამართლების შემთხვევაში აუცილებლად შევიტან სარჩელს, – განაცხადა მან.

მისი თქმით, პროკურატურის პოზიცია აბსურდულია, შესაბამისად ის გამამართლებელი განაჩენის მოლოდინშია.

შემდეგი სასამართლო სხდომა 23 იანვარს 14:30 საათზე გაიმართება.

გიორგი გიორგანაშვილი 14 ივლისს 20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ის 25 იანვარს დააკავეს. მსახიობს პროკურატურა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვას ედავება. მას 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

თავად ბრალდებული წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

## განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 12 წლით პატიმრობა მიესაჯა

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში ბრალდებული თ.გ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ თ.გ.-მ 2017 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 23:00 საათზე, დაბა თიანეთში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე შურისძიების მოტივით, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა, გ.ბ.-ს გულმკერდის არეში დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული ჭრილობის შედეგად გ.ბ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა თ.გ. 2017 წლის 1 აგვისტოს დაბა თიანეთში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ თ.გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში გაამართლა, დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის



სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბრალდების მხარე განაჩენის მიღების შემდეგ თ.გ.-ს მიმართ გამამართლებელ ნაწილში გამოტანილ გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.

## ქუთაისში ბუნებრივი აირის გაჟონვას 2 ადამიანი ემსხვერპლა

ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა.

შსს-ში „ნიუპოსტს“ განუცხადეს, რომ გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

უწყების ცნობით, პირველადი დათვალიერებით ცხედრებს დაზიანებები არ აღენიშნება.



## ქარელში ავარიისას ეპარქიის ჯიპი დაიმტვრა

ქარელის ცენტრში ორი ჯიპი ერთმანეთს შეეჯახა. ერთი მანქანა ეპარქიის მღვდელთმსახურებს ეკუთვნის.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სასულიერო პირების ჯიპი შადრევანზე ავიდა. შადრევნის გარშემო წრიული მოძრაობაა.

პოლიციამ დამრღვევად მერსედესის მარკის ავტომანქანის მფლობელი ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, მოქალაქეს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეათე ნაწილით შეუდგინეს, რაც 250 ლარით დაჯარიმებას იწვევს.

# ტრამპის ადმინისტრაციამ უკრაინისთვის იარაღის მიყიდვას მხარი დაუჭირა



ტრამპის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა კომერციულ ლიცენზიას, რომელიც უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიყიდვას ითვალისწინებს. ამის თაობაზე „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება.

„ამ ნაბიჯით ტრამპმა არა მხოლოდ ობამას პოლიტიკას, არამედ საკუთარ წინა-საარჩევნო განცხადებებსაც ხაზი გადაუსვა! აკი ტრამპი ამომრჩეველს რუსეთთან ურთიერთობების დათბობას შეჰპირდა,“ – წერს გაზეთი.

როგორც ჩანს, ეს ფაქტი თავად ტრამპსაც აფიქრებდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობების დათბობა სურს.

– სამწუხაროდ, პუტინმა სხვა არჩევანი აღარ დამიტოვა! მისი აგრესიული პოლიტიკა გრძელდება. ჩვენც ამის არდანახვა აღარ შეგვეძლო, – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

მიუხედავად ამისა, ტრამპი მაინც შეეცადა, თავისი ადმინისტრაციის ნაბიჯი შეერბილებინა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ნოივარტმა გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის ნაბიჯში ახალი არაფერია.

– საუბარია მსუბუქ შეიარაღებაზე, ანუ იმაზე, რომელსაც უკრაინა ჩვენგან ადრეც ყიდულობდა! ჩვენ კვლავაც თავს ვიკავებთ კიევისთვის ჯაველინების მიწოდებისგან! – აცხადებს ნოივარტი.

ამერიკელი პოლიტოლოგი და რუსეთთან დაახლოების მომხრე დიმიტრი საიმსი თვლის, რომ ტრამპი აიძულეს, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. რუსეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ პრეზიდენტი რუსეთთან გარიგებისთვის მზადაა, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევს არც გარემოცვა, არც სენატი, არც კონგრესი.

– ტრამპის გარემოცვიდან, უწინარეს ყოვლისა, თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი უნდა გამოვყოთ. რაც შეეხება კონგრესს, იქ მაკეინის თანამოაზრეები საკმაოზე მეტნი არიან. იგივე შეიძლება ითქვას სენატზე. ტრამპი მარტოა! – აცხადებს საიმსი.

უკრაინელი ექსპერტი ფისენკო აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას უკრაინული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად მიიჩნევს. ფისენკო ხაზს უსვამს, რომ ამერიკული იარაღის მიწოდება არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური ნაბიჯია.

– ეს იარაღი ფრონტზე შექმნილ მდგომარეობაზე ძირეულ გავლენას ვერ იქონიებს. მთავარია ის, რომ აშშ დონბასის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურად ჩაება. გადამწყვეტი სწორედ ეს იქნება, – ამბობს ფისენკო.

# კადიროვი მაგნიტსკის სიაში შეიყვანეს



აშშ-ის მთავრობამ ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების ლიდერი რამზან კადიროვი მაგნიტსკის სიაში შეიყვანა.

ამ სიაში ის პოლიტიკოსები და ძალოვნები შეჰყავთ, რომლებიც პოლიტიკური ოპონენტების მკვლელობებში, წამებაში, აგრეთვე დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებასა და კორუფციაში არიან მხილებულნი.

კადიროვის გარდა, ხსენებულ სიაში მოხვდნენ რუსეთის მოქალაქეები: კატაევი, მაიოროვა, პავლოვი, შეშენია.

– ჩემი მაგნიტსკის სიაში შეყვანა რუსეთის შეურაცხყოფაა! პირად წყენას კიდევ ავიტან, რუსეთის შეურაცხყოფას კი არავის ვაპატიებ! – ასეთია რამზან კადიროვის კომენტარი

პუტინის ჩეჩენი მარიონეტი პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა.

– დაე, ამერიკელებმა იცოდნენ, რომ ამიერიდან მათი დაუძინებელი მტერი ვარ! – განაცხადა მან.

# თურქეთში ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირების გამო 55 ადამიანი დააკავეს



თურქეთის ქალაქებში სტამბოლსა და იზმირში კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირების გამო 55 ადამიანი დააკავეს.

ამის შესახებ თურქული საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“ იუწყება.

თურქმა ძალოვნებმა ერთდროულად 12 მისამართზე ჩაატარეს ოპერაცია. დაკავებულებიდან 45 პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. არსებული ინფორმაციით, ისინი ტერაქტის განხორციელებას გეგმავდნენ.

სპეცოპერაციის ფარგლებში ამოღებულია დოკუმენტები და ციფრული ინსტრუმენტები.

# ბრიტანელმა პოლიციელმა მარიხუანის პლანტაცია გააშენა

პოლიციელს დიდი ბრიტანეთიდან დენიელ აიმსონს ნარკოკარტელის ორგანიზება ედება ბრალად. სამართალდამცველს ამისკენ ცნობილმა სერიალმა უბიძგა, ხოლო მისთვის მისაბაძი გახდა სერიალის მთავარი გმირი.

პოლიციელისთვის სამაგალითო იყო სერიალ „თავდაviწყების“ (ვო ვსე ტიაჟკიე) პერსონაჟი უოლტერ უაიტი. სიუჟეტის მიხედვით, მთავარი გმირი ქიმიის ჩვეულებრივ მასწავლებლად მუშაობს, მაგრამ ერთ დღესაც შეიტყობს, რომ კიბოთია დაავადებული. ამის შემდეგ უაიტი შეუდგება მეტამფეტამინის ლაბორატორიის შექმნას. აიმსონმა კი კანაფის მოშენებას მას შემდეგ მიჰყო ხელი, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სერიოზული ტრავმა მიიღო.

მამაკაცმა სამი თვე ინვალიდის ეტლში გაატარა და ტრავმის შემდგომი სტრესისგან იტანჯებოდა. სამსახურში დაბრუნების შემდეგ მან გადაწყვიტა, ორმაგი ცხოვრებით ეცხოვრა: მან ერთ-ერთ ავტომობილისტს მართვის მოწმობა ჩამოართვა, მასზე ორი საცხოვრებელი ფართის იჯარა გააფორმა და მარიხუანის მოშენებას მიჰყო ხელი. აიმსონის სახლში განხორციელებული რეიდის დროს აღმოჩნდა მარიხუანის პლანტაცია. ამის გარდა, პოლიციელს აღმოუჩინეს 22,5 ათასი ფუნტი სტერლინგი ნაღდი ფული.



აისონის სახლში დაყენებული სათვალთვალო კამერებით ცნობილი გახდა, რომ ის სერიალის ფანი იყო და მუდმივად უოლტერ უაიტის პორტრეტიანი მაისურით დადიოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ნარკოტიკის გასაღებით მთელი ბანდა იყო დაკავებული. აიმსონს ბრალად წარედგინა კორუფცია და დანაშაულებრივი შეთანხმება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჩრდილოეთ კორეიდან ჯარისკაცები გარბიან



ჩრდილოეთ კორეის არმიაში დეზერტირობის ფაქტები გახშირდა. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, კიდევ ერთი ჯარისკაცი გადავიდა საზღვარზე და სამხრეთ კორეის ხელისუფლებას ჩაჰბარდა.

მან საზღვარი სიცოცხლის რისკით გადაკვეთა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# კვერკველიათი ბრიტანელები დაინტერესდნენ



საქართველოს ნაკრების მცველ სოლომონ კვერკველიას ჩინებული თამაში უყურადღებოდ არც ევროპაში დარჩენიათ და დიდი ალბათობაა იმისა, რომ კარიერას ის, სავარაუდოდ, პრემიერ ლიგაში გააგრძელებს. მოსკოვის ლოკომოტივის 25 წლის მცველის გადაბირებით ვესტ ბრომვიჩ ალბიონი და ლესტერი არიან დაინტერესებულნი.

კვერკველია მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს და მისი წვლილი დიდია ლოკომოტივის ლიდერობაში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რკინიგზელები 2004 წლის შემდეგ პირველი ჩემპიონობის მოპოვებასთან ძალიან ახლოს არიან.

რუსული პრემიერ ლიგის დასრულებამდე 10 ტურით ადრე, ლოკომოტივს 45 ქულა აქვს, პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევრებს – სანკტ-პეტერბურგის ზენიტსა და მოსკოვის სპარტაკს 8 ქულით უსწრებს.

ლესტერის ახალ თავკაც კლოდ პუელს უკვე გაცხადებული აქვს, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს დაცვითი ხაზის გაძლიერება სურს. იგივე მიზანი აქვს ვესტ ბრომვიჩის დამრიგებელ ალან პარდიუსაც.

ლოკომოტივი ქართველ მცველს 18 მილიონ გირვანქა სტერლინგად აფასებს, მაგრამ მწვრთნელს იური სიომინს მისი გაყიდვა არ უნდა, რადგან შემადგენლობის შენარჩუნებას ცდილობს.

# ედენ აზარი მანჩესტერსა და მადრიდში სურთ



მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელობა გუნდის მნიშვნელოვნად გაძლიერებას გეგმავს. როგორც ჩანს, ჟოზე მოურინიო შემადგენლობის გადახალისებას აპირებს და მის ინტერესთა სფეროში ისეთი ფეხბურთელი მოყვა როგორიც ლონდონის ჩელსის ლიდერი ბელგიელი ედენ აზარია.

წითლები მზად არიან, ფეხბურთელში სოლიდური თანხა გაიღონ, თუმცა რაც შეეხება აზარს, მეორე საკითხია შეელევა თუ არა ანტონიო კონტე მისი გუნდის წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვას.

იუნაიტედის მესვეურებს სურთ ფეხბურთელი სოლიდური თანხის სანაცვლოდ გაიფორმონ. რაც შეეხება სატრანსფერო ღირებულებას, თანხა 120 მილიონ ევროს შეადგენს, ეს კი ის თანხაა რომელზეც უარს ვერცერთი კლუბი ვერ იტყოდა.

გავრცელებული ჭორების თანახმად, ფეხბურთელის შეძენა კიდევ ერთ გრანდს, მადრიდის რეალს სურს. ფლორენტინო პერესის ინტერესთა სფეროში აზარი დიდი ხანია უკვე მოქცეულია, თუმცა ეს ტრანსფერი დღემდე ვერ განხორციელებულა, როგორც ირკვევა, მადრიდელებს კონკურენციის გაწევა იუნაიტედზე მოუწევთ.

მიმდინარე სეზონში პრემიერ ლიგის ეგიდით ჩატარებული მატჩებიდან აზარის ანგარიშზე 5 გოლი და 3 საგოლე პასია.

აზარი ლონდონელებს 2012 წელს ფრანგული ლილიდან შეუერთდა.

# ფაჩულიას ნაცვლად მოედანზე „შვიდკაცა" გავიდა



პირველად ისტორიაში ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მატჩზე ქართული ჰიმნი შესრულდა. ანსამბლმა „შვიდკაცამ" გოლდენ სტეიტისა და მემფისის მატჩის დაწყებამდე და მისი შესვენებისას რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა. ცხადია, პირველი გახლდათ ამერიკის ეროვნული ჰიმნი, რომელიც ქართულმა ანსამბლმა მატჩის დაწყებამდე იმღერა და მაყურებელთა ოვაციები დაიმსახურა. არანაკლები აპლოდისმენტები მოჰყვა „შვიდკაცას" მიერ შესრულებულ საქართველოს ჰიმნსა და „მრავალჟამიერს", რომელიც ქართველებმა მატჩის დიდ შესვენებაზე შეასრულეს.

პროექტი ზაზა ფაჩულიასა და კომპანია „გალფის" გოლდენ სტეიტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგად განხორციელდა.

შეხვედრა გოლდენ სტეიტმა 97:84 მოიგო. თავად ფაჩულიას მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ის დარბაზში იმყოფებოდა და „შვიდკაცას" უბადლო შესრულების გამო მილოცვებს იღებდა.

საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს მხრის ტრავმა აწუხებს. არენაზე მისულ პირველ 10.000 ქომაგს საჩუქრად ფაჩულიას გამოსახულებიანი სათამაშო გადაეცათ, მათ დარბაზში საქომაგო ბარათებიც დახვდათ.

გადმოვინაცვლოთ ევროპაში, სადაც თორნიკე შენგელია წარმატებულ თამაშს აგრძელებს. თუმცა, ამჯერად, მისმა გუნდმა მარცხი განიცადა. ევროლიგის მე-13 ტურში ბასკონია მილანს ესტუმრა და 85:92 წააგო.

ბასკონიელთა ქართველი კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო და 29 წუთში 10-დან 8 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. თოკოს აქტივში 4 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაც იყო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 26-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

გიორგი შერმადინის უნიკახამ კი ევროლიგაში მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. მალაგელებმა ესპანურ დერბიში სტუმრად ბარსელონას 90:83 სძლიეს და საპლეიოფო ზონას მიუახლოვდნენ.

ქართველმა ცენტრმა მოედანზე 12 წუთი გაატარა და 4 ქულა და 7 მოხსნა (4 შეტევაში) მიითვალა. შერმადინმა 3-დან 1 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო გამოიყენა.

მომდევნო ტურში ბასკონია და უნიკახა მეტოქეებს გაცვლიან – უნიკახა შინ მიიღებს ბარსელონას, ხოლო ბასკონია ბარსელონას დაუხვდება. რაც შეეხება სატურნირო ცხრილს: ბასკონია 6 მოგებითა და 7 მარცხით მე-9 ადგილზე იმყოფება, მალაგელებმა 16-გუნდიან ევროლიგაში მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი მანუჩარ მარკოიშვილიც შესანიშნავ ფორმაშია და იტალიურ რეჯიო ემილიაში წარმატებულ თამაშს აგრძელებს. მისი ჩინებული გარჯის წყალობით ემილიელებმა ამჯერად ევროთასის გათამაშებაში, იერუსალიმში იმარჯვეს, სადაც ჯგუფის ფავორიტი ჰაპოელი 79:66 დაამარცხეს.

მანუჩარი სასტარტო ხუთეულში იყო და 30 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 8-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და საჯარიმო ჩააგდო.

რეჯიო ემილიას 4 მოგება და 5 მარცხი აქვს და 6-გუნდიან ჯგუფში მე-4 ადგილზე იმყოფება. სწორედ საუკეთესო 4 გუნდი გადის შემდეგ ეტაპზე, ტო-16-ში. შემდეგი საევროთასო მატჩი ემილიელებს შინ მიუნხენის ბაიერნთან ელით.

# შედეგები

**20 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ჩელსი-ბორნმუთი ........................ 2:1
ბრისტოლი-მანჩესტერი ................ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ლას პალმასი .................... 2:0
სოსიედადი-სევილია ..................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 16 | 13 | 3 | 0 | 42-7 | 42 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 10 | 6 | 0 | 25-7 | 36 |
| 3.ვალენსია | 16 | 10 | 4 | 2 | 36-16 | 34 |
| 4.რეალი | 15 | 9 | 4 | 2 | 30-11 | 31 |
| 5.სევილია | 17 | 9 | 2 | 6 | 20-22 | 29 |
| 6.ვილიარეალი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-20 | 24 |
| 7.ხეტაფე | 17 | 6 | 5 | 6 | 22-16 | 23 |
| 8.სოსიედადი | 17 | 6 | 5 | 6 | 31-29 | 23 |
| 9.ხირონა | 16 | 6 | 5 | 5 | 20-22 | 23 |
| 10.ლეგანესი | 16 | 6 | 3 | 7 | 12-14 | 21 |
| 11.ბეტისი | 16 | 6 | 3 | 7 | 25-29 | 21 |
| 12.ეიბარი | 16 | 6 | 3 | 7 | 18-28 | 21 |
| 13.სელტა | 16 | 5 | 3 | 8 | 27-24 | 18 |
| 14.ბილბაო | 16 | 4 | 6 | 6 | 16-19 | 18 |
| 15.ლევანტე | 17 | 3 | 9 | 5 | 15-22 | 18 |
| 16.ესპანიოლი | 16 | 4 | 5 | 7 | 13-21 | 17 |
| 17.დეპორტივო | 16 | 4 | 3 | 9 | 18-31 | 15 |
| 18.ალავესი | 16 | 4 | 0 | 12 | 12-25 | 12 |
| 19.მალაგა | 16 | 3 | 2 | 11 | 13-30 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 17 | 3 | 2 | 12 | 13-38 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლორკა-ოსასუნა ........................... 0:1
გრანადა-ხიხონი ........................... 2:1
კორდობა-რეუსი ........................... 5:0

**გერმანია. თასი**

გლადბახი-ლევერკუზენი ............... 0:1
ვერდერი-ფრაიბურგი ................... 3:2
ბაიერნი-დორტმუნდი ................... 2:1
ჰაიდენჰაიმი-აინტრახტი ............... 1:2

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-კრემონეზე ....................... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-ნანტი ................................ 0:1
ანჟე-დიჟონი ................................. 2:1
ბორდო-მონპელიე ......................... 0:2
გენგამი-სტ.ეტიენი ........................ 2:1
ლილი-ნიცა .................................. 1:1
მარსელი-ტრუა ............................. 3:1
მეცი-სტრასბური .......................... 3:0
მონაკო-რენი ................................ 2:1
პსჟ-კაენი ..................................... 3:1
ტულუზა-ლიონი ............................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 2 | 1 | 55-14 | 47 |
| 2.მონაკო | 18 | 12 | 2 | 4 | 44-18 | 38 |
| 3.ლიონი | 18 | 11 | 5 | 2 | 44-19 | 38 |
| 4.მარსელი | 18 | 10 | 5 | 3 | 35-21 | 35 |
| 5.ნანტი | 18 | 9 | 3 | 6 | 17-18 | 30 |
| 6.ნიცა | 18 | 8 | 2 | 8 | 23-28 | 26 |
| 7.რენი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-24 | 25 |
| 8.სტრასბური | 18 | 6 | 6 | 6 | 24-28 | 24 |
| 9.დიჟონი | 18 | 7 | 3 | 8 | 27-31 | 24 |
| 10.კაენი | 18 | 7 | 3 | 8 | 11-18 | 24 |
| 11.მონპელიე | 18 | 5 | 8 | 5 | 15-13 | 23 |
| 12.გენგამი | 18 | 6 | 5 | 7 | 19-23 | 23 |
| 13.ამიენი | 18 | 6 | 3 | 9 | 16-20 | 21 |
| 14.ტრუა | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 15.ბორდო | 18 | 5 | 5 | 8 | 22-27 | 20 |
| 16.სტ.ეტიენი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-31 | 20 |
| 17.ტულუზა | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 18.ლილი | 18 | 5 | 3 | 10 | 16-29 | 18 |
| 19.ანჟე | 18 | 2 | 9 | 7 | 19-28 | 15 |
| 20.მეცი | 18 | 2 | 2 | 14 | 10-34 | 8 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-პარტიკი ........................ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ბრიუგე ........................ 0:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დინამო პირველია, დელტამ სოხუმი ბოლოზე დატოვა



**დინამო-რუსთავი 86:57**

(23:18, 18:18, 22:14, 23:7)

თბილისის დინამომ სუპერლიგაში პირველი მარცხის შემდეგ მობილიზება შეძლო და ამბიციურ გუნდ რუსთავს მოუგო. დედაქალაქელები პირველ ნახევარში მედგარ წინააღმდეგობასაც წააწყდნენ, თუმცა მეორე ტაიმში ჩემპიონმა ყველა სათამაშო კომპონენტი გამოასწორა და მეტოქე დამაჯერებლად – 29 ქულის სხვაობით დაამარცხა.

დინამოელებს გამოაკლდათ სერბი ფორვარდი ნიკოლა გაჩეშა, თუმცა იმდენად სოლიდური შემადგენლობა დარჩათ, კვლავ უპირველეს ფავორიტებად ითვლებიან. ეს სტატუსი ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა რუსთავთანაც დაამტკიცა. პირველი პერიოდის შემდეგ, რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი ქვემოქართლელები მხოლოდ 5 ქულას აგებდნენ, მაგრამ დიდი შესვენებიდან დაბრუნებული დინამოელები ძალიან შედეგიანად ათამაშდნენ. დაცვაში მდგომარეობა გამოასწორეს და შეტევაშიც ხელ-ფეხი გაეხსნათ.

მე-3 მეოთხედი დინამომ 22:14 მოიგო და მეტოქე წელში გატეხა. დასკვნით 10-წუთეულში რუსთაველებმა თამაშის გადარჩენა დააპირეს, მაგრამ უშედეგოდ – დინამოელებმა ბოლო ნაწილიც უკეთესად ჩაატარეს, 23:7 მოიგეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს – 86:57.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც 20 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 17 ქულა ჰქონდა ილია ლონდარიძეს, ხოლო 16 – ლაველ ბოიდს. რუსთაველთაგან 16 ქულით ტაირელ ნელსონი გამოირჩა. 10 ქულა ლევან ცეკვავას ანგარიშზე დაგროვდა.

**ბათუმი-კაქტუსი 69:77**

(20:13, 23:19, 17:22, 9:23)

ბათუმში, სადაც სათამაშოდ თბილისური კაქტუსი ჩავიდა და მაღალ დონეზე ჩატარებული დასკვნითი პერიოდის წყალობით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაქტუსელებმა გასული 2 მატჩი მოიგეს და წარმატებული სერია აჭარაშიც გააგრძელეს, სადაც უშუალო კონკურენტ ბათუმს 77:69 მოუგეს. თავის მხრივ კი აჭარულ გუნდს ზედიზედ მე-3 წაგება დაუგროვდა.

თამაში ისე დაიწყო და მიმდინარეობდა, ბათუმელ ქომაგებს სანერვიულო არ მისცემიათ. პირველი პერიოდის 7 ქულით მოგების შემდეგ, ბათუმელებმა მეორეში 23:19 იმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის 43:32 დაწინაურდნენ. მესამე პერიოდში სტუმრებმა ჩამორჩენა მცირედით შეამცირეს და მეტოქეზე გადამწყვეტი იერიში დასკვნით მეოთხედში მიიტანეს.

გადამწყვეტ მომენტში თბილისურმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა დაცვაში, ვლადიმერ ბოსნიაკის გაწვრთნილმა ბათუმელებმა კი მრავალი შეცდომა დაუშვეს და კარგად დაწყებული საქმე მოგებამდე ვერ მიიყვანეს. მატჩის დასრულებამდე 4:40 წუთით ადრე ბათუმელები 69:66 იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში ქულაც კი ვერ მოიპოვეს, კაქტუსელებმა კი მონაკვეთი 11:0 მოიგეს და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

კაქტუსის შემადგენლობაში 27 ქულით საუკეთესო შედეგი დეანდრე პარკსმა დააფიქსირა. 12 ქულა და 13 მოხსნა მეორე ამერიკელის – ტერიკ ბრიჯმენის ანგარიშზეა, ხოლო დავით ლომიძის მონაგარი 11 ქულა გახლდათ. ბათუმელთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო ახალწვეული იშმაელ ჰოლინსი, რომელმაც პირველ ტაიმში 18 ქულა ჩააგდო, ხოლო მეორეში ხელი მოეცარა. 15 ქულა დააგროვა ბათუმელთა უკრაინელმა ლეგიონერმა, ლეონიდ სტეპანიშინი, ხოლო სტეფან ანდრეიევიჩმა ორმაგი დუბლი – 11 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა.

**ოლიმპი-მგზავრები 90:69**

(26:12, 25:13, 31:16, 8:28)

შეხვედრამ ვერ გაამართლა. ბოლო მეოთხედი მგზავრებმა 20 ქულით მოიგეს, მაგრამ თამაში 21 ქულით დათმეს. ოლიმპელების უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მატჩის მეორე ნახევარს, ფაქტობრივად, აზრი დაეკარგა. ლეონიდ ივატინისა და დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო მდგომარეობა გამოისწორეს.

ოლიმპელები ლიდერობას პირველივე წუთებიდან დაეპატრონნენ და რაც დრო გადიოდა, უპირატესობას ზრდიდნენ. საწყისი მეოთხედი 26:12 დასრულდა, დიდ შესვენებამდე კი ოლიმპმა ლიდერობა 26 ქულამდე გაზარდა. თუკი მატჩის მოგების ამბიცია ჰქონდათ, მგზავრების კალათბურთელებს მესამე პერიოდში უნდა ეყოჩაღათ, თუმცა პირიქით მოხდა. ოლიმპმა ისედაც სოლიდურ უპირატესობას 15 ქულაც მიამატა და მატჩის ბედი მესამე პერიოდის ბოლოსთვის გადაწყვეტილი გახლდათ – 41-ქულიანი სხვაობის გაბათილება 1 პერიოდში წარმოუდგენელია და ეს არც მომხდარა.

გამარჯვებულთაგან შეუჩერებელი იყო მარკ ოგდენი, რომელმაც 28 ქულადა 10 მოხსნა მოაგროვა. 19 ქულა მიითვალა რევაზ როგავამ, ხოლო გივი ბაქრაძემ ორმაგ დუბს უწია – 11 ქულა, 10 პასი. მგზავრებში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# როგორ შეგვიძლია მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე



უეფას მიერ დამტკიცებულმა ახალმა ფორმატმა დიდი დისკუსია გამოიწვია ფეხბურთის გულშემატკივრებში. ბევრისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება, თუ რა პრინციპით მოხდება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამსვლელი გუნდების დაკომპლექტება. ამიტომ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ დეტალურად ავხსნათ უეფას ახალი ფორმატის დეტალები.

2020 წლის ევროპის ჩემპიონატი ყველა წინა ტურნირისგან განსხვავებული იქნება და 13 ქვეყნის 13 ქალაქში ჩატარდება, ხოლო ფინალურ ეტაპზე მოხვედრის 2 გზა იარსებებს.

ფინალურ ეტაპზე კვლავაც 24 გუნდი იასპარეზებს, რომელთაგან 20 ტრადიციული გზით, საკვალიფიკაციო ტურნირით გათამაშდება. 4 საგზურს კი ახალი ტურნირის, უეფას ერთა ლიგის პლეი ოფში გაითამაშებენ. სწორედ აქედან აქვს საქართველოს ნაკრებს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მოხვედრის ორი გზა აქამდეც არსებობდა – ფინალური ტურნირის მასპინძლობა და საკვალიფიკაციო ტურნირი. თუმცა, ევრო 2020-ის წინ ყველაფერი შეიცვალა, რამაც დააბნია ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი.

დავიწყოთ თავიდან: ევრო-2020-ს ერთდროულად 13 ქვეყნის 13 ქალაქი უმასპინძლებს. ცხადია, ამდენ მასპინძელ გუნდს ფინალურ ეტაპზე ავტომატურად ვერ დაუშვებენ. ევრო 2020-ზე მოხვედრის სქემა კი ასეთია:

პირველი გზა: 20-საგზურიანი საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელიც 2019 წლის მარტიდან ნოემბრამდე ჩატარდება. ამ ტურნირის წილისყრა მომავალი წლის 2 დეკემბერს დუბლინში გაიმართება. 55 გუნდი 10 ჯგუფში განაწილდება. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს;

მეორე გზა: 4 საგზური უეფას ერთა ლიგიდან, რომლის პირველი ნაწილი 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივნისამდე გაიმართება, ხოლო დასკვნითი – ივნისში.

უეფამ სანაკრებო ამხანაგური მატჩების ჩასანაცვლებლად ახალი ტურნირი მოიფიქრა – უეფას ერთა ლიგა. ნაკრებები უეფას ეროვნულ გუნდთა კოეფიციენტის მიხედვით: ა, ბ, ც და დ ლიგებად დაიყო. 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება, ივნისში დივიზიონის ნახევარფინალები და ფინალები.

საკვალიფიკაციო პლეი ოფში უეფას ერთა ლიგიდან მხოლოდ ის ნაკრებები ითამაშებენ, რომელთაც ტრადიციული გზით საგზური არ ექნებათ მოპოვებული.

ნახევარფინალები ორმატჩიანია, ხოლო ფინალები – ერთმატჩიანი (ფინალის ადგილი წინასწარ გამოცხადდება). საბოლოოდ, ოთხივე დივიზიონის პლეი ოფების თითო გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ლეონარდო ბონუჩის მილანი უკვე მობეზრდა



ლეონარდო ბონუჩის უკვე მობეზრდა მილანში ყოფნა და ამ გუნდის დატოვება სურს. მილანი წლევანდელ სეზონში ძალიან არასტაბილურად თამაშობს და გუნდი იტალიის ჩემპიონატში მე-8 ადგილზე იმყოფება. ბონუჩი მილანში ზაფხულში გადავიდა, მანამდე კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იუვენტუსის ღირსებას იცავდა. შესაძლოა ბონუჩიმ იტალიაც დატოვოს და კარიერა ინგლისის პრემიერ ლიგაში გააგრძელოს, სადაც მისი შეძენა ლონდონის ჩელსის სურს.

ანტონიო კონტემ არაერთხელ გამოთქვა სურვილი, ბონუჩი თავის გუნდში ეხილა.

# მესის მადრიდში ჩასვლა არ უყვარს



ბარსელონის ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მადრიდში ყოფნა არ სიამოვნებს, მაგრამ რეალის კარში გოლების გატანა მისთვის სასიხარულოა.

– ბარსელონაში გავიზარდე, ამიტომ ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. რაც შეეხება მადრიდს, იქ ყოფნა დიდად არ მსიამოვნებს, თუმცა, როდესაც რეალის კარში გოლები გამაქვს, ამ დროს ყოველთვის ბედნიერი ვარ, – განაცხადა მესიმ.

რეალისა და ბარსელონის დაპირისპირება 23 დეკემბერს მადრიდში გაიმართება. შეხვედრა თბილისის დროით 16.00 საათზე დაიწყება.

# კოუტინიო იანვრის დასაწყისში ბარსელონის ფეხბურთელი გახდება



ლივერპულის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო იანვარში ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელი გახდება. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ესპანურ პრესაში. ლივერპული და ბარსელონა უკვე შეთანხმდნენ ტრანსფერზე, რომლის მიხედვითაც ლივერპული 150 მილიონ ევროს მიიღებს. კოუტინიოს წლიური ანაზღაურება 12 მილიონი ევრო იქნება და ბრაზილიელი ფეხბურთელი ბარსელონაში 10 იანვრისთვის ჩავა. ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არცერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

# დინამო პირველია, დელტამ სოხუმი ბოლოზე დატოვა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ ადრიან ბოუიმ დაძლია, რომელმაც შეხვედრა 21 ქულით დაასრულა.

**მაინეული-სოხუმი 71:68**

(16:21, 16:16, 23:26, 26:15)

მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა, რომლის ბედიც ბოლო წამებზე, ქვემოქართლური გუნდის სასარგებლოდ დასრულდა.

ორივე გუნდისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დელტასაც და სოხუმსაც მიმდინარე სუპერლიგაში თითო გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული და ორივეს ჰქონდა შანსი, აქტივში მეორე მოგება ჩაეწერათ. მატჩი თანაბრად დაიწყო, მაგრამ შემდეგ სოხუმელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მართალია, მიხეილ კობეშავიძის გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას, თუმცა ანგარიშში გამუდმებით წინ იყო.

პირველი პერიოდი სოხუმმა 5 ქულით და ამ სხვაობით ლიდერობა დიდ შესვენებაზეც. მესამე მეოთხედის 26:23 მოგების შემდეგ სოხუმელები 8 ქულით დაწინაურდნენ და მოსაგებად სოლიდური განაცხადი გააკეთეს. დასკვნითი ათწუთეული ქვემოქართლელებმა სრული მობილიზებით ჩაატარეს: ჯერ ჩამორჩენა გააბათილეს, ხოლო ბოლო წუთზე, ზვიად ანთაძის სწრაფი გარღვევის შემდეგ 2 ქულით დაწინაურდნენ. გადამწყვეტ შეტევაში სოხუმელებმა ბურთი დაკარგეს, თუმცა თამაშის გადარჩენის შანსი მაინც შერჩათ, მაგრამ კვან უოლერმა გამთანაბრებელი სამქულიანი ააცილა და შეხვედრა მარნეულელთა სასარგებლოდ – 71:68 დასრულდა.

გამარჯვებულებს 16 ქულითა და 7 მოხსნით ზვიად ანთაძემ ულიდერა. 16 ქულა დააგროვა დეანდრე რეიმ. სოხუმელებს კვან უოლერმა ულიდერა – 21 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი. 17 ქულა იყო მაიზერ რევაზაშვილის ანგარიშზე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სტოკ სიტიმ შესაძლოა მარკ ჰიუზი მოხსნას



ინგლისური სტოკ სიტის სეზონი ჯერჯერობით ცუდად მიმდინარეობს.

მარკ ჰიუზის გუნდი მე-17 ადგილზე იმყოფება და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. ამის გამო სტოკ სიტის ხელმძღვანელობამ მარკ ჰიუზს ულტიმატუმი წაუყენა, რომ თუ გუნდი შემდეგ შეხვედრას წააგებს, მაშინ ჰიუზს თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

მომდევნო მატჩი სტოკ სიტის ვესტ ბრომვიჩ ალბიონის წინააღმდეგ აქვს საკუთარ მოედანზე და ეს თამაში, შესაძლოა, ჰიუზისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 22 დეკემბერი



**ვერძი** – გაიმრავალფეროვნეთ ცხოვრება, გაიფართოვეთ თვალსაწიერი. ერიდეთ უტაქტო გამონათქვამებს. **კურო** – ნებისმიერ სიტუაციაში მოგებული რჩებით. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ტყუპები** – ეცადეთ, ემოციები მაქსიმალურად მოთოკოთ. ნერვები დაიმშვიდეთ და ჩვეული საქმით დაკავდით. **კირჩხიბი** – სხვის საქმეში ნუ ჩაერევით, თორემ ბოლოს ყველაფერი თქვენ დაგბრალდებათ. არ იმეტიჩროთ და არ იაქტიუროთ. **ლომი** – ნებისმიერი მოვალეობა გულმოდგინედ შეასრულეთ. თუ პასუხისმგებლობას გაექცევით, თქვენვე დაზარალდებით. **ქალწული** – ისიამოვნეთ, გაერთეთ, პრობლემებს მსუბუქად შეხედეთ. ყველაფერი კარგად გაქვთ. **სასწორი** – კრიტიკა დამსახურებულია. ასე რომ, საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და ნაკლოვანებების გამოსწორებაზე იზრუნეთ. **ღრიანკალი** – სასიკეთო მომავალი გელით. ჩანაფიქრი უთუოდ მალე აგისრულდებათ, ოღონდ თქვენც ძალისხმევას ნუ დაიშურებთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები გწყალობენ. შემოსავალი საკმაოდ გეზრდებათ. შრომა დაგიფასდებათ. **თხის რქა** – ისწავლეთ გაჩუმება და საჭირო დროს ლაპარაკი. დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღის დევიზია. **მერწყული** – სასიყვარულო ურთიერთობები თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. საპირისპირო სქესის გულს უპრობლემოდ მოინადირებთ. **თევზები** – კონფლიქტური, დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. გონიერებას მოუხმეთ და შექმნილი ვითარებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. ისტორიული ციხე-სიმაგრე ახალციხეში; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ღამის პეპელა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბაღი; 14. მარადმწვანე ხე, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. იპოდრომი ლონდონის მახლობლად, სადაც იმართება სამეფო დოღი; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული შინაური კუზიანი ხარი.

**თარაზულად**: 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 9. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 10. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჯარის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. დრონი; 3. ინტერესი; 4. ჰერეთი; 5. „შაჰნამე"; 6. „ფიპრესი"; 11. აბუჯა; 13. ტრამვაი; 14. დრაგომანი; 15. კვირინალე; 17. როდენი; 18. არაგვი; 19. კოლო.

**თარაზულად:** 7. „ბაიერი"; 8. ინტენდანტი; 9. არღანი; 10. ფელეტონი; 12. კონტრაბასი; 14. დრეიკი; 16. არტანუჯი; 18. ანაკოფია; 20. კანოე; 21. ლია; 22. ტერაკოტა; 23. ირაო; 24. მოდილიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზოსტერა; 2. კომუნიკე; 3. მიანმა; 4. რანდი; 5. ყინწვისი; 8. ბაზილიკა; 12. პატი; 13. სათაფლია; 14. აილამა; 16. მანიანი; 18. ოხორი; 20. „მოკო".

**თარაზულად:** 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. ბუზუკი; 9. ტემზა; 10. მიკიტანი; 11. პამპერსი; 15. ტახიკარდია; 17. „მინდია"; 19. მარმელადი; 21. „პლეიბოი"; 22. ბატლიერი; 23. „ლოკჰიდი".

# ლეო ანთაძის იუბილე თეატრალურში აღინიშნება



22 დეკემბერს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის საიუბილეო საღამო გაიმართება.

საღამო მსახიობის 85 წლის იუბილეს მიეძღვნება და ის დოდო ალექსიძის სახელობის განახლებულ სასწავლო თეატრ „სპარტაკში" შედგება.

საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძეა:

– გელოდებით ყველას, ვისაც გიყვართ ქართული თეატრი, კინო და ლიტერატურა. დასწრება თავისუფალია, – აცხადებს ნიკოლოზ წულუკიძე.



# ხატია ბუნიათიშვილი და დემნა გვასალია ყველაზე ცნობილი ადამიანების სიაში მოხვდნენ

გავლენიანმა სამხრეთკორეულმა გამოცემამ კორეაში ყველაზე ცნობილი 10 ადამიანის სია გამოაქვეყნა, სადაც ორი ქართველი დიზაინერი, დემნა გვასალია და პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი მოხვდნენ.



როგორც გამოცემა წერს, ბალენსიაგას გახსნამდე მაღაზიასთან რიგი 3 დღით ადრე იდგა, ხოლო ხატია ბუნიათიშვილზე წერს, რომ პიანისტის კონცერტის ბილეთები პირველივე დღეს სრულად გაიყიდა.

# რა ბედი ელის საქართველოს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე?

მაშინ, როდესაც რამდენიმეწლიანი ლოდინი წარმატებით დასრულდა და საქართველომ 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი მიიღო, საქართველოში ამ საკითხს განხეთქილება მოჰყვა.

პროექტი ქართული ლიტერატურისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ 100-ზე მეტმა ავტორმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს სპეციალური წერილით მიმართეს:

– მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 15 დეკემბერს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მედეა მეტრეველმა სამსახურიდან გათავისუფლების თხოვნით საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის სახელზე დაწერა განცხადება, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ის მიზეზები და გარემოებები, ამ გადაწყვეტილების მიღებისკენ რომ უბიძგა.

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგენა ჩვენი ქვეყნისთვის რთული და საპასუხისმგებლო პროექტია. შექმნილი ვითარება კი უპირობოდ აფერხებს ამ პროექტის მზადების პროცესს. უკანასკნელ ეტაპზე, როდესაც ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ნებისმიერი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის გათავისუფლება კი ყოველგვარ ზღვარს სცდება. მედეა მეტრეველისა და მისი გუნდის გარეშე 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით ღირსეულად წარდგენას საფრთხე ემუქრება.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მთელ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ფორუმია, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატურისა და საგამომცემლო სფეროს პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არამედ კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვაც აქვს. ფორუმზე საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგენა კი ევროინტეგრაციის გზაზე მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის უნიკალური შესაძლებლობაა, მსოფლიო საზოგადოებას საუკეთესო კუთხით გააცნოს საკუთარი თავი.

ვითვალისწინებთ რა პროექტის სახელმწიფო მნიშვნელობასა და მის მიმართ მაღალ საჯარო ინტერესს, მოვითხოვთ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისთვის შეუფერხებელი სამუშაო პროცესის ხელშეწყობას. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ აღნიშნულ საკითხებზე განმარტებები მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა მიიღოს. დაინტერესებული ჯგუფი კი კულტურის მინისტრს შეგვახვედროთ საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა მწერალი **ლაშა ბუღაძე:**

– ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა უდიდესი ევროპული პლატფორმაა საქართველოსთვის და ქართული ლიტერატურისთვის, საქართველო წლებიაელის თავისი ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის წარდგენის ამ დიდ შესაძლებლობას. ეს იქნება ისტორიული დანაშაული, თუკი ქართული ლიტერატურა მისი მნიშვნელობისთვის შესაბამისი ხარისხით, პასუხისმგებლობითა და მასშტაბის გააზრებით არ იქნება წარმოდგენილი.

მინისტრები და ჩინოვნიკები წავლენ და წამოვლენ, ქართული ლიტერატურა კი მუდმივ და აქტუალურ ღირებულებად დარჩება. ამიტომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი და ისტორიული საქმე ჩინოვნიკურ იწილობიწილოს არ უნდა გადაჰყვეს.

არავის აქვს უფლება, რომ ქართულ ლიტერატურაზე მაღლა დააყენოს თავი. თუკი რაიმე მართლაც ღირებული შექმნილა და იქნება საქართველოში, ეს უპირველეს ყოვლისა მისი ლიტერატურაა, ხუცესის ტექსტით დაწყებული და დღევანდელი ლიტერატურით დასრულებული. საქართველოს პოპულარიზაციისთვის და ავტორიტეტის ამაღლებისათვის კი ფრანკფურტის ბაზრობა უმნიშვნელოვანესია.

საქართველო კულტურის კუთხით ყურადღების აქამდე არნახულ ეპიცენტრში მოექცევა. ყურადღებით იქნება საქართველოს დისკრედიტაციის მთავარი მოსურნეც, რუსეთი, რომელსაც საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ მისთვის ჩვეული პროპაგანდისტულ-ფინანსური მეთოდებით დააკნინოს საქართველოს მნიშვნელობა.

ჩვენგან განსხვავებით, ისინი კი არიან ყოველთვის მობილიზებულები. ამიტომ გთხოვთ ყველას, ყურადღებით, ადეკვატურობით, პასუხისმგებლობით და სათუთად მოვეკიდოთ ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ საქმეს. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ჩვენს უკან რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი და კიდევ მრავალი და მრავალი გენიოსია, რომელნიც საუკუნეები და ათწლეულები ელოდნენ გეოგრაფიულ-ესთეტიკური საზღვრების გარღვევასა და მასშტაბების გაფართოებას.

ფრანკფურტის ბაზრობა შესაძლებლობაა თანამედროვე ავტორებისთვის, რომ ისინი ისევე არ მოსწყდნენ გლობალურ ლიტერატურულ პროცესებს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში მოხდა, როცა ქართულ ლიტერატურასა და დანარჩენ „ლიტერატურულ" და არა მხოლოდ ლიტერატურულ, მსოფლიოს შორის „რკინის ფარდა" იყო დაშვებული.

ასე რომ, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანობა და ისტორიული პასუხისმგებლობის, გნებავთ, ფუნქციის ჯეროვანი გააზრება. ამ გზაზე შეცდომის დაშვება არ შეიძლება.

წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **დეა მეტრეველმა** საზოგადოების დიდი ინტერესი გაითვალისწინა და სპეციალური განცხადება გაავრცელა:

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ყველა გულშემატკივარს!

ბევრჯერ მითქვამს და განვმეორდები, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პროექტი ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის ცხოვრების პროექტი არის და ასე იქნება ბოლომდე. ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით და სიყვარულით ვაკეთებდით. მე, როგორც ცენტრის დირექტორს და პროექტის ყოფილ ხელმძღვანელს, სრულად მაქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რაც ამ მასშტაბური პროექტის ღირსეულად განხორციელებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა... ეს კი ქართული ლიტერატურის და ქართველი ავტორების – პროექტის მთავარი გმირების – ღირსეულად წარმოჩენაა.



პროექტის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე სამუშაო ჯგუფის მენეჯმენტში განხორციელდა ცვლილებები. შეიცვალა პროექტის ხელმძღვანელი და ცენტრს აღარ გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლება მთლიანი პროექტის ადმინისტრირებაზე, ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ახალმა გარემოებებმა, როგორც ცენტრის ხელმძღვანელი, ახალი რეალობის წინაშე დამაყენა და მიმაღებინა გადაწყვეტილება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პროექტის ინტერესებს ემსახურება, პროექტის ფარგლებში ცენტრმა უზრუნველყოს უშუალოდ ქართული ლიტერატურული და საგამომცემლო პროგრამის განხორციელება და ლიტერატურული თარგმანების მომზადება. რაც შეეხება მთლიანი პროექტის სხვა საკვანძო საორგანიზაციო მიმართულებებს, რომლებიც დიდი თანხების მართვასთან არის დაკავშირებული, პავილიონი, პიარკამპანია გერმანიაში, სრული პროექტის ლოჯისტიკა, კულინარიული პროგრამა და სხვა, მიზანშეწონილია, გადავიდეს იმ უწყების მართვაში, რომელიც, როგორც გადაწყვეტილების მიმღები, უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი, როგორც შინაარსობრივ, ასევე ფინანსურ მართვაზე და შესრულებაზე.

აღნიშნული თხოვნით, მივმართე კულტურის სამინისტროს. იმედს ვიტოვებ, მოგვეცემა საშუალება ჩვენ მიერ დაგეგმილი პროექტის ლიტერატურული პროგრამა წარმატებულად განვახორციელოთ.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, რომ თუ წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი არ შეცვლის მოთხოვნებს, იძულებული იქნება, მისი განცხადება დააკმაყოფილოს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. იაპონური თოჯინების თეატრი; 2. ტბა ნინოწმინდის რაიონში; 3. დამატებითი ჯილდო, პრემია; 4. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 5. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 8. ვენესუელის დედაქალაქი; 12. ემილ ზოლას რომანი; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება; 14. ზოგიერთი ტროპიკული მცენარისგან მიღებული მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება; 16. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 18. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 20. ფულის ერთეული იაპონიაში.

**თარაზულად**: 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. თბილ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 10. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 11. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 19. გაეროს გენერალური მდივანი; 21. სილის გორაკი უდაბნოში; 22. რამე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. მონასტერი ქსნის ხეობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# სამგლოვიარო განცხადებები

## აფხაზეთიდან კიდევ ერთი მამულიშვილის ნეშტს გადმოასვენებენ

მიმდინარე წლის 22 დეკემბერს ქ. გაგრიდან გადმოასვენებენ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ქ. გაგრის მერის მოადგილის, ქალაქის თავდაცვის საბჭოს წევრის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის

**მიხეილ ჯინჭარაძის**

ნეშტს.

მიხეილ ჯინჭარაძე დაიღუპა 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაში, ქალაქის დაცემის დღეს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისას.

მიხეილ ჯინჭარაძის ნეშტი 23 დეკემბერს დასვენებული იქნება ქალაქ თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში, რუსთაველის №9.

გამოსვენება ეკლესიიდან 14 საათზე;

დაკრძალვა: ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

პარასკევი 22 დეკემბერი

**შესაძლებელია ცვლილებები**

**არხის ბადეში.** 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15"სპორტის დაფა" 12.40"აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.00 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ 15.30, 06.40 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00, 05.45 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 23.00 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.00, 03.00 მხ/ფ

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფისი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ცოდვილი**" 4 სერ. 18.50, 19.03 სერ. "**დარჩი ჩემთან**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ჩვენ ვარსკვლავები ვართ 00.00 მხ/ფ "**ცენტურიონი**" 01.45 მხ/ფ "**ვარსკვლავების რუკა**" 03.45 მხ/ფ "**დაუბრუნდეს გამომგზავნს**" 05.20 მხ/ფ "**სამოთხის პროექტი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**მორჩილების სავანე**" 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv იმედი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პირველები 23.00 ავტორბოლა 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

**GDS** 08.00 ან/ფ "ავატარი 2" 09.00 სერ. "**ჯაშუში**" 2-3 სერ. 11.00 მხ/ფ "**კოქტეილი**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 4**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" 18.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 7**" 19.00 სერ. "**ჯაშუში**" 4-5 სერ. 21.00 მხ/ფ "**ლონდონის დაცემა**" 23.00 მხ/ფ "**ტკბილი ნოემბერი**" 01.15 მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" 03.45 მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება**" 06.00 მხ/ფ "**იღბლიანი**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.45 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.45 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. " **პირადი საქმე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ღია სტუდია 00.00 მხ/ფ " **მზის ტყვეები**"

06.15 კვირიაკე 07.10 დ/ფ "ველური ბუნება-ღამის მონადირეები" 07.35 ზღვარზე-"ბოლერო" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 მსოფლიო საგანძური "ბუდაპეშტი დუნაის სანაპირო და ციხესიმაგრის უბანი" 10.25 თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" 10.35 ბავშვები მუზეუმში "კაპიტან გიორგი უნაფქოშვილის მუზეუმი" 11.10 ერთსულოვანი ოჯახი "ნემსაძეები" 12.05 მხ/ფ "**თემო**" 13.30 ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" 14.40 გამოყენებითი ხელოვნება "კერამიკა–რობიზონ იმერლიშვილი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 გადაცემა-ოპერა "რიგოლეტო" 17.35 ჩვენი საგანძური 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.20 მხ/ფ "**ძნელი დასაწყისი**" 20.40 ძილი ნებისა "მონადირე" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია IV ნაწ. 21.20 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ზურტაკეტი-გომარეთის ზეგანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი "კომანი" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 მგზავრები წუთისოფლისა "სოფელი. ჭივჭავი, თეთრიწყარო, წალკა" 01.00 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" 01.30 კონცერტი

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5283 | ევრო — 2.9945 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3874 | 100 რუსული რუბლი — 4.3133 |

## ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისთვის








14 დეკემბრიდან

რომან გვენცაძის

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 დეკემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## იუმორი

პოლიციელი დაკავებულს ეკითხება:

– თქვენი დაბადების ადგილი?

– დაწერეთ ყაზახეთი!

– უფრო ზუსტად?

– ყველა პოლიციელი უბრალოდ ყაზახეთს წერს.

– მოდი, ნუ მასწავლი, როგორ უნდა მოვიქცე! რასაც გეკითხები, მიპასუხე!!!

– კარგით, დაწერეთ: კიზილორდის ოლქის კარმაკშინის რაიონი სოფელი იანიკურგანი!

– ასე, ჩავწეროთ... დაბადების ადგილი ყაზახეთი...

•••

აღელვებული ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, მიშველეთ! კრაზანამ მიკბინა!

– არაფერია, ახლავე მალამოს ავიღებ და...

– კი მაგრამ, როგორ წაუსვამთ, ის ხომ გაფრინდა, უკვე შორს იქნება!

– არა, იმ ადგილზე წაგისვამთ, სადაც გიკბინათ.

– აჰა, ეს პარკში, ხის ქვეშ მდგარ სკამზე მოხდა.

– ვერ გამიგეთ, სხეულის იმ ნაწილზე წაგისვამთ, რომელზეც კრაზანამ გიკბინათ.

– ასე გეთქვათ ექიმო! თითზე მიკბინა.

– რომელზე?

– აბა მე რა ვიცი?

•••

ერთ მდიდარ ბიზნესმენს ცოლის თავიდან მოშორება უნდა და მეგობარს შესჩივლა:

– ცოლს მერსედესი ვუყიდე.

– მერე?

– სატვირთოს შეასკდა. მანქანა მთლიანად დაილეწა, თვითონ კი სრულიად საღსალამათია.

– შენც ადექი და პონტიაქი უყიდე.

ერთი კვირის შემდეგ ისევ შეხვდნენ.

– აბა, როგორაა საქმე?

– ვუყიდე პონტიაქი, კედელს შეასკდა. მანქანა ჯართად იქცა, თვითონ კი ერთი ნაკაწრიც არ აქვს.

– მაშინ იაგუარი უყიდე.

ერთი კვირის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

– აბა, რა ქენი?

– შესანიშნავადაა საქმე.

– მართლა?

– ჰო, ვუყიდე იაგუარი და პირდაპირ ავტოფარეხშივე შეჭამა.

•••

ცოლი ფეხბურთელ მეუღლეს ეკითხება:

– ძვირფასო, სად იყავი?

– ფეხბურთს ვთამაშობდი!

– უცნაურია, მაისური მშრალია და არც სუნი ასდის!

– ნაკრების თამაში გვქონდა.

## პრინცმა ჰარიმ ბარაკ ობამა შეაშინა



ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ ბი-ბი-სი რადიოსთვის ინტერვიუ ჩამოართვა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბარაკ ობამას.

ინტერვიუს დაწყებამდე ობამამ თანამოსაუბრე გააფრთხილა, რომ ნელა ლაპარაკობს და ხუმრობით დაინტერესდა, აუცილებელი იყო თუ არა ბრიტანული აქცენტის გამოყენება.

– თუ პასუხებს შორის ხანგრძლივი პაუზები იქნება, მაშინ, შესაძლოა, „სახე“ დაინახოთ, – გააფრთხილა, თავის მხრივ, პრინცმა.

– შეიძლება ვნახო? – ჰკითხა ყოფილმა პრეზიდენტმა. პრინცმა „სახის“ დემონსტრირება მოახდინა.

– კარგით, ასეთი სახის დანახვა არ მსურს, – ღიმილით უპასუხა ობამამ.

აღნიშნული შეხვედრა კანადის ქალაქ ტორონტოში შედგა, სადაც იმ დროს „დაუმარცხებელთა თამაშები“ იმართებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


